*ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

## შესავალი

საქართველოს რეალობაში სამეცნიერო და კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობა სუსტად არის ორიენტირებული სახელმწიფო და კერძო სექტორებში არსებულ საჭიროებებსა და პრობლემების გადაჭრაზე. ერთის მხრივ არსებობს სამეცნიერო ხასიათის უამრავი გამოწვევა და უკვე არსებული მეცნიერული მიღწევები, რომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნებზე ადაპტაცია თუ ტრანსფორმაცია წმინდა სამეცნიერო და გამოყენებითი დარგის ამოცანებია. მეორეს მხრივ, სახეზეა ახალი გამოწვევების სწრაფი ზრდის დინამიკა მრეწველობის და მეცნიერების ყველა მიმართულებებით. ასეთ ვითარებაში, წარმოდგენილია მნიშვნელოვანი მიღწევების და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ჩაკეტილ დარგობრივ თუ უწყებრივ სივრცეებში. მაგალითად, მრეწველობის და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლობის პირობებში, საქართველოში შექმნილი გამოგონებების რაოდენობა აღწევდა 730 ერთეულს 1989 წლის მონაცემებით.<sup>13</sup> 2021 წელის მონაცემით კი 49 ერთეულს.<sup>14</sup>

ამ ვითარებიდან გამომდინარე, საჭირო ხდება შესაბამისი კვლევების საფუძველზე, შეიქმნას ისეთი მულტი დისციპლინარული კოლაბორაციული რგოლი/რგოლები, რომელიც შეძლებდა დამკვეთების (რომლებსაც სჭირდებათ გარკვეული კვლევების ჩატარება არსებული პრობლემების შესასწავლად) და ამ დამკვეთების შემსრულებელთა გამაერთიანებელ პლატფორმას. ასეთი რგოლები/პლატფორმები შექმნიდნენ მჭიდრო თანამშრომლობისა და ფართო ჩართულობის შესაძლებლობებს, როგორც სამეცნიერო პროდუქციის შექმნის ეტაპზე, ასევე მისი დანერგვის და კომერციალიზაციის ეტაპებზე, მათ შორის წარმოქმნილ გამოწვევებზე დროული რეაგირება მოსახდენად. ნაშრომში წარმოდგენილია საბაზისო კვლევა საინოვაციო ეკოსისტემის შესწავლის და კონკრეტული პლატფორმის შემუშავების მიზნით, რომელის მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნას ფართო ჩართულობის ერთგვარ ინოვაციური ეკოსისტემა.

არსებული ინოვაციური პოტენციალის შესწავლა

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ 21 საუკუნეში, მსოფლიოს მასშტაბით შეიმჩნევა ინტელექტუალურ საკუთრებაზე/პატენტებზე განსაკუთრებული მოთხოვნა.<sup>15</sup> გარკვეული


<sup>13</sup> База Патентов СССР (1989), с 1 – 1700; <https://patents.su/1989>

<sup>14</sup> საქპატენტის წლიური ანგარიში (2020), გვ. 17; <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/>

<sup>15</sup> Szmigiera, M. (2021), Number of patent applications worldwide 1990-2020, Statista,

კლება აღინიშნებოდა 2009 წელს მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, 2019 წელს ძირითადად ჩინეთიდან, რუსეთიდან და დიდ ბრიტანეთიდან გაკეთებული განაცხადების შემცირების გამო,<sup>16</sup> ხოლო 2020 წელს აიხსნება COVID 19-ით გამოწვეულ შეზღუდვებით (იხ. გრაფ. 1).<sup>17</sup>

გრაფიკი 1



ინტელექტუალურ საკუთრებაზე ასეთი სწრაფი ზრდის ტენდენცია განპირობებულია:

- ა) ეკონომიკის გლობალიზაციით;
- ბ) საერთაშორისო ბაზარზე წარმოქმნილი მძლავრი კონკურენციით;
- გ) ტექნოლოგიების ახალი დარგების (საინფორმაციო, ბიოლოგიური და ნანო ტექნოლოგიები) სწრაფი განვითარებით.

ამ ტენდენციების სქართველოში შესასწავლად ჩატარდა წარმოდგენილი კვლევა, რომელიც მოიცავს ორ ნაწილს:

1. საქართველოს საგამომგონებლო პოტენციალის შესწავლა;
2. სამრეწველო და სამომხმარებლო მოთხოვნა ინოვაციებზე.

კვლევა შესრულებულია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და GITA-ს „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო) დაკვეთით. აღებულია 1989 –

<https://www.statista.com/statistics/257610/number-of-patent-applications-worldwide/#statisticContainer>

<sup>16</sup> WIPO, (2020), World Intellectual Property indicators, p. 12;

[https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_941\\_2020.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_941_2020.pdf)


<sup>17</sup> Statista 2021, <https://www.statista.com/statistics/257610/number-of-patent-applications>

2020 პერიოდი, როგორც შემაჯამებელი მახასიათებლების მქონე ნიშნულები. კერძოდ ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებამდე 1989 წლის მაჩვენებლები და 2020 წელი, როგორც შედეგების შეფასებისთვის დასრულებული ბოლო წელი.

დაკვირვების ობიექტებად შერჩეულია მეზობელი სომხეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი, რუსეთი და თურქეთი. ესტონეთი განხილულია როგორც მეტ ნაკლებად თანაზომადი, გასულ წლებში ერთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში მყოფი და ახლა უკვე ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ძალიან საინტერესოდ გამოიყურება თურქეთის ტრანსფორმაცია ამ კუთხით, მით უმეტეს, რომ იმ წლებში იქ რაიმე გეოპოლიტიკური ცვლილება არ მომხდარა.

ნაჩვენებია ქვეყნების აქტივობები რეგისტრირებული გამოგონებების მიხედვით საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტის შეცვლამდე და აღნიშნული ცვლილებების შემდეგ (იხ. გრაფ. 2).<sup>18</sup>

გრაფიკი 2



ამ პერიოდში, საქართველოს მოსახლეობის მაღალი მიგრაციის მიუხედავად, მკაფიოდ იკვეთება გამოგონებების რაოდენობის მკვეთრი ვარდნა, რაც განაპირობა სამოქალაქო ომით გამოწვეულმა ეკონომიკურმა სტაგნაციამ, ხოლო მოგვიანებით, სამრეწველო საშუალებების სრულ განადგურებამ, სახელმწიფოს მიერ ჩატარებულმა

<sup>18</sup> WIPO, Statistical Country Profiles, [http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/country\\_profile/](http://www.wipo.int/ipstats/en/statistics/country_profile/)

ქონების არასამართლიანად და არაგონივრულად განაწილებამ, ეგრეთ წოდებულ პრივატიზაციამ.<sup>19</sup> აშკარაა, რომ სომხეთში, აზერბაიჯანსა და ესტონეთში, თითქმის იგივე გეოპოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა რაც საქართველოში, მაგრამ მხოლოდ ჩვენთან აღინიშნება კატასტროფული ვარდნა, რაც სამოქალაქო ომით და სამრეწველო სექტორის სრული განადგურებით არის გამოწვეული. სომხეთ აზერბაიჯანის ომი ასევე შეეხო მათ ეკონომიკას და საგამომგონებლო დონეს, თუმც მცირედი ვარდნით, რადგან ყარაბახის ტერიტორიაზე ლოკალურად მიმდინარეობდა და საქართველოს მსგავსად, არ მოიცვა მთელ სახელმწიფო.

ფაქტობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ რეგისტრირებული პატენტების რაოდენობით, საქართველო ისევ აგრძელებს ვარდნას. ცხრილში 1 წარმოდგენილია სამიზნე ქვეყნების ისტორიული მინიმუმის და მაქსიმუმის ტენდენციები.

ცხრილი 1

საგამომგონებლო პოტენციალი საშუალოდ

	სახელმწიფო	მოსახლეობა (მლნ)	ისტორიული (Max-Min) 1989 - 2020		ტენდენცია	ფარდობითად მოსახლ. მიმართ.
			Maximum	Minimum		საშუალოდ
1	საქართველო	3 719	730	45	▼ 8.4	7 800/1 (9 609/1)
2	სასომხეთი	2 931	362	200	▼ 1.8	10 430/1
3	აზერბაიჯანი	9 827	498	234	▼ 2.1	19 320/1
4	ესტონეთი	1 309	240	26	▲ 9.2	6 254/1
5	თურქეთი	80 745	10 156	281	▲ 29.7	287 348/1 (7 950/1)
6	აშშ	324 465	520 877	291 806	▲ 1.78	623/1
7	რუსეთი	144 100	31 857	23 712	▲ 1.34	5 187/1
8	იაპონი	127 484	530 003	473 141	▲ 1.12	240/1

**P.S.** 1989 წლის მონაცემებით, თურქეთს 1 სულ მოსახლეზე გამოგონებებით ვუსწრებდით 33-ჯერ და ამჟამად, საშუალო მონაცემით ჩამოვრჩებით 1,2-ჯერ, 2020 წლის მონაცემით 10,4-ჯერ, ხოლო იაპონიას 39-ჯერ.

მოცემულ 30 წლიანი პერიოდში, საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რაც მკაფიოდ აისახა ქვეყნის საგამომგონებლო პოტენციალზეც. მაგალითად თუ განვიხილავთ მეზობელ თურქეთთან ერთ სულ მოსახლეზე შეწონილი გამოგონებების რაოდენობას 1989 წლის მონაცემებით, საქართველოში ყოველ 7800 მოსახლეზე მოდიოდა 1 გამოგონება, როცა იმავე წლის თურქეთის მონაცემით, ერთი გამოგონება მოდიოდა 287348 მოქალაქეზე, რაც ერთ სულ

<sup>19</sup> ჯოხაძე, ხ - (2008), სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოების წინააღმდეგობრივი ხასიათი საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი თსუ 2008, გვ. 49 – 50, [https://www.tsu.ge/data/file\\_db/disertaciebi/Jokhadze.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/disertaciebi/Jokhadze.pdf)

მოსახლეზე გაანგარიშებით 33-ჯერ უარესი მაჩვენებელია. დღევანდელი მონაცემებით კი გვაქვს 1 გამოგონება 9609 მოსახლეზე თურქეთის 7950 მოსახლესთან შედარებით. ისტორიული მინიმუმის და მაქსიმუმის გასაშუალოებული მაჩვენებლით თუ შევადარებთ, საშუალო მონაცემებით 1,2-ჯერ ჩამოვრჩებით, ხოლო თუ 2020 წლის მონაცემით ვიმსჯელებთ, მას უკვე 10,4-ჯერ ჩამოვრჩებით.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ადგილობრივი პროცედურით და საერთაშორისო პროცედურით უკვე რეგისტრირებული გამოგონებები. სხვა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესწავლა არ ყოფილა კვლევის მიზანი. ყურადღება გამახვილდა მხოლოდ საგამომგონებლო პოტენციალის გაზომვაზე და შედარება გაკეთდა უახლოესი 30 წლის სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებების ფონზე. ცხრილში 2, წარმოდგენილია საგამომგონებლო პოტენციალის ცვლის დინამიკა ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის და მ. სააკაშვილის მიერ განხორციელებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციების, ცვლილებების და მმართველობების პერიოდებში.

## ცხრილი 2

რეგისტრირებული გამოგონებები წლების მიხედვით 1989 – 2012წწ.

გამოგონებები			რეგისტრირებული განცხადებები		
			1989	2002 – 2006 *	2007 – 2012 *
ეროვნული პროცედურით	ადგილობრივი	იურ. (ა)	-	8	5
		ფიზ. (ბ)	-	137	129
	სულ:		770	145	134

\*- მონაცემები გასაშუალოებულია 2002წ - 20006 წლამდე და ანალოგიურად 2007წ-დან 2012წ-მდე.

შემოკლებები: (ა) - იურიდიული პირი; (ბ) - ფიზიკური პირი;

მე-3-ე ცხრილში წარმოდგენილია 2012 – 2020 წლების პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების და მმართველობის პერიოდი.



### ცხრილი 3

რეგისტრირებული გამოგონებები წლების მიხედვით 2013 – 2020წწ.<sup>20</sup>

გამოგონებები			რეგისტრირებული განცხადებები							
			2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ეროვნული პროცედურით	ადგილობრივი	იურ.	5	5	3	19	9	1	8	10
		ფიზ.	99	53	58	39	28	35	3	6
	უცხოური		9	11	14	7	6	0	20	29
საერთაშორისო პროცედურით			173	139	131	112	163	97	80	103
სულ:			286	208	206	177	206	133	115	152

მათ შრის აღსანიშნავია, რომ საქართველოში რეგისტრირებული გამოგონებებიდან 2002-2013წწ,<sup>21</sup> საშუალოდ 81.5% მოდიოდა ფიზიკურ პირებზე, ხოლო ყველა იურიდიულ პირებსა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებზე ერთად აღებული 4.4-ჯერ ნაკლები, ანუ მხოლოდ 18.5%. ჯამურ მაჩვენებლებში, 2013 წლიდან 2020 წლის ჩათვლით კი აღინიშნება 250%-იანი ვარდნა, თუმც გაზრდილია რეგისტრაციები საერთაშორისო პროცედურებით და 2020 წელს 29 ერთეულს მიაღწია, რაც 3,2-ჯერ მეტია 2013 წელთან შედარებით და 1,45-ჯერ მეტი 2019 წელთან შედარებით, რაც სავარაუდოდ GITA-ს (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს) შექმნით და მის ბაზაზე საქპატენტის წარმომადგენლობის ამოქმედებით აიხსნება. ბოლო 30 წლის განმავლობაში, ასეთი მკვეთრი ვარდნა, ძალიან სერიოზულ ანალიზს საჭიროებს. რთულად წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება ასეთი მდორე მდგომარეობაში ყოფნა იმ ფონზე, როდესაც დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარეობს არნახული ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესი.


სამიზნე ქვეყნები, გლობალური ინოვაციური ინდექსით წარმოდგენილია გრაფიკზე 3. აღნიშნული ინდექსით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც მრავალი განზომილების ერთობლიობას მოიცავს, საქართველო არც თუ ისე ცუდად გამოყურება და იკავებს 63 ადგილს, ჩამორჩება მეზობელ სომხეთს 61, მაგრამ წინ უსწრებს 82-ე ადგილზე მყოფ აზერბაიჯანს,<sup>22</sup> თუმც ძალიან ცუდი სურათი გვაქვს ისტორიულ მაქსიმუმთან (ეროვნულ ინტელექტუალურ პოტენციალთან) შედარებით.

<sup>20</sup> საქპატენტის ანგარიშები (2013-2020), <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/>

<sup>21</sup> საქპატენტის წლიური ანგარიშები, <https://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/>

<sup>22</sup> WIPO, Global Innovation Index 2020, p.33, [https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_gii\\_2020.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf)

გრაფიკი 3



კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოში პატენტზე დაბალი მოთხოვნის ზოგიერთი გამოკვეთილი მიზეზები:

1. დაბალია საგამომგონებლო დონე;
2. საუნივერსიტეტო სივრცეში და სამრეწველო დონეზე თითქმის აღარ არის პრაქტიკული კვლევების წარმოების შესაძლებლობა;
3. მეცნიერებაზე გამოყოფილი სახსრების სიმცირე.<sup>23</sup>
4. სამრეწველო სისტემის მოშლის და მწარმოებლებს შორის კონკურენციის არ არსებობა (კონკურენცია მუშაობს მხოლოდ იმპორტირებულ პროდუქტებს შორის);
5. ძალზედ შეზღუდულია საპატენტო ხარჯებისთვის დაფინანსების და გარანტიების მიღების შესაძლებლობა;
6. არ არსებობს პირობები და შესაძლებლობები სამრეწველო ნიმუშების დასამზადებლად;
7. ბაზარზე ორიენტირებული კვლევებისთვის, მწირია დაფინანსების წყაროები, რაც ართულებს პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობებს;
8. შეზღუდულია საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ჩატარდა მოსახლეობის, მცირე და საშუალო

<sup>23</sup> მაჭავარიანი, შ. (2019) ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამაღლების უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორები, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომების კრებული #1, გვ. 10-11, საგა - საქართველოს აკადემიური გამომცემლობა;

ბიზნესის, აგრეთვე უნივერსიტეტებში ფოკუს ჯგუფების გამოკითხვა.

მოსახლეობის გამოკითხვა ითვალისწინებდა ინოვაციური პროდუქტების შეძენის მოტივაციის გარკვევას, ხოლო ბიზნესის წარმომადგენლობის მხრიდან იმას, თუ რამდენად ორიენტირებულია წარმოება საკუთარი საავტორო და კონკურენტული პროდუქტების შექმნით, ამ პროდუქციებზე საავტორო უფლებების დაცვით და ასეთი მიდგომით საბაზრო უპირატესობის მოპოვებით?

საუნივერსიტეტო სექტორის გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, თუ რამდენად არის უნივერსიტეტის კვლევები ორიენტირებული ბიზნესის მოთხოვნებზე. არსებობს თუ არა ასეთი ინტერესი მათი მხრიდან (ტენდენციები მოთხოვნა-მიწოდების ჭრილში). აგრეთვე, გამოკვეთილიყო ინოვაციების მიმზიდველობა საქართველოს სამომხმარებლო, საგანმანათლებლო და სამრეწველო სექტორში.

კვლევის ეს ნაწილი მოიცავდა ინოვაციებისადმი მიმზიდველობის საკითხის გარკვევას საქართველოს სამომხმარებლო, საგანმანათლებლო და სამრეწველო/ბიზნეს სექტორებში. საუბარია იმ რეალობის შესწავლაზე, თუ როგორია რეალური მოთხოვნა ინოვაციებზე, ანუ რა მოტივაცია აქვს სუბიექტს ინოვაციების შესაძენად ან დასაწერად.

კვლევის საფუძველზე, გამოვლინდა, რომ მომხმარებელს ინოვაციური პროდუქტის დანიშნულებაზე (ფუნქციაზე) აქვს სამი ტიპის მოთხოვნა/საჭიროება:

1. *საჭიროებით* მოტივირებული მოთხოვნა;
2. *ზოგადი/არაძკაფიო* მოთხოვნა, და
3. *სავალდებულო/იძულებითი სახის* მოთხოვნა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100 ორგანიზაციამ და 1150 მოქალაქემ. კვლევამ მოიცვა ინტერვიუები სამ ასაკობრივ ჯგუფში:

- I. 18-დან 32 წლის ჩათვლით;
- II. 33-დან 47 წლის ჩათვლით;
- III. 48- წლიდან 63 წლამდე შემთხვევითი შერჩევის წესით.

პირველ კითხვაზე გაცემული პასუხი „გიყვართ თუ არა სიახლეები და ინოვაციური პროდუქტების შეძენა“?), განაპირობებდა მეორე და შემდგომი შეკითხვების მიმდევრობას.

ამის შემდეგ, მეორე რიგის ამოცანად იდგა მოთხოვნის/საჭიროების მიზეზის დადგენა, თუ რა განაპირობებდა ასეთ საჭიროებას.

საბოლოო ანალიზის შედეგად გამოვლინდა მოთხოვნის სამი ძირითადი ჯგუფი:

*საჭიროებით გამოწვეული მოთხოვნა*, რომელიც მომხმარებლურია და

მოტივირებულია მხოლოდ მომხმარებლის საჭიროებით (როგორც ცნობილია ეს საჭიროება სხვადასხვა სახისაა, ხასიათდება სხვა და სხვა მრავალფეროვნებით და მოტივირებულია ფუნქციური ან ემოციური ფაქტორებით);

*ზოგადი/არამკაფიო მოთხოვნა*, რომელიც აღიძვრება პოდუქციის/მომსახურეობის შესაძლო საჭიროებით და ასეთ მომხმარებელს უჭირს გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას იღებს გარკვეული მერყობის შემდეგ, თუმცა შეძენის შემთხვევაში, არ გააჩნია მკაფიო პასუხი, თუ რატომ შეიძინა ეს პროდუქტი;

*სავალდებულო/იძულებითი მოთხოვნა*, რომელიც განპირობებულია იძულებითი საჭიროებით. ასეთი გადაწყვეტილება მეტ წილად, უსაფრთხოების ან სხვა სავალდებულო საჭიროებით მიიღება.

რესპონდენტების მიერ, ბოლო წლებში შეძენილ ინოვაციურ პროდუქტებს და შეძენის მიზეზის შესაბამისად, ჯგუფდებოდნენ აღწერილი კრიტერიუმების მიხედვით. კვლევითი ჯგუფების მონაცემების გასაშუალოების შედეგად მიღებული შედეგები განაწილდა შემდეგი პროპორციებით:

45.4% შემთხვევაში, ინოვაციური პროდუქტის შეძენის სურვილი განპირობებული იყო საჭიროებით, ზოგადი/არამკაფიო მოთხოვნით - 19.93%, ხოლო სავალდებულო/იძულებითი მოთხოვნით შეძენილი ინოვაციური პროდუქტები მოიცავდა 34.66%-ს, რომლიდან ინოვაციური პროდუქტების 75% ჯანმრთელობის დაცვის მიზნით იყო შეძენილი, 18% უსაფრთხოების დაცვით და მხოლოდ 15% ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის ან გარემოს მოფრთხილების მიზნით (იხ. ცხრ. 4).

*ცხრილი 4*

კვლევის შედეგები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

#	მოთხოვნები ინოვაციებზე	ასაკობრივი ჯგუფები		
		I	II	III
1	<i>საჭიროებით განპირობებული მოთხოვნა</i>	41.3	59,6	35.3
2	<i>ზოგადი/არამკაფიო მოთხოვნა</i>	52,5	5.1	2,2
3	<i>სავალდებულო/იძულებითი მოთხოვნა</i>	6,2	35,3	62,5

გამოკითხული 100 ორგანიზაციის პასუხებში, თუ რა განაპირობებდა ინოვაციებზე მოთხოვნას, გამოიკვეთა, რომ პასუხების 82%-ში დომინირებდა კონკურენტული ფასების შექმნის ინტერესი, ხოლო 18% იძულებითი საჭიროებით. რას შეეხება ზოგადი/არამკაფიო

მოთხოვნას, ამ სეგმენტში საერთოდ არ გამოვლინდა.

დამატებით დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: *სავალდებულო/იძულებითი მოთხოვნა*, რომელიც სპეციალური საჭიროებით არის განპირობებული და გადაწყვეტილებაც ამის შესაბამისად მიიღება, შეიძლება იყოს გამოწვეული მაგალითად გარემოს დაბინძურების ნორმების დაცვის საჭიროებით. ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა ამას სასჯელად აღიქვამს და არა როგორც საკუთარი ნების გამოვლინებად ან წვლილის შეტანად გლობალურ ეკოლოგიურ ღირებულებებში.

ის რაც კვლევების პირველ ნაწილში გამოვლინდა, კერძოდ საგამომგონებლო დონის მკვეთრი ვარდნა ბოლო 30 წლის შედეგების მიხედვით, რომელიც ერთის მხრივ მოსახლეობის მხრიდან მიზან-შედეგობრივი ინტერესის დაკარგვის შედეგია, რაც განაპირობა 1990-იან წლებში სამრეწველო ინდუსტრიის მოშლამ. შედეგად მოხდა ქვეყნის ინდუსტრიული ეკონომიკური ორიენტაციის შეცვლა მომსახურეობის სფეროების სასარგებლოდ (აღნიშნული სფერო მოითხოვდა ბევრად ნაკლებ კაპიტალდაბანდებას და შედარებით ნაკლებ კვალიფიკაციას).

ასეთი რადიკალური ტრანსფორმაციის ფონზე, სამრეწველო სექტორის გარეშე დარჩენილ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტები მძიმე ტვირთად აღიქვა 2003 – 2012 წლებში მმართველმა ძალამ და დასავლეთის პარტნიორების რჩევით, ზურგი აქცია კვლევით ინსტიტუტებს.<sup>24</sup>

შედეგად დაიკარგა თითქმის ყველა ტრადიციული კვლევითი მიმართულებები, მოხდა კადრების გადინება ან არა პროფილურ დარგებში გადანაცვლება, შენობა-ნაგებობების, ლაბორატორიული მოწყობილობების და დანადგარების გასხვისება/გაყიდვა. გეზი აღებულ იქნა მხოლოდ ტურიზმის განვითარების და მასთან ინტეგრირებული საქმიანობების მიმართულებით. ახლად შექმნილმა საუნივერსიტეტო სფერომ, სახელმწიფომ მთლიანად და მცირე სამრეწველო სექტორმა, ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ჩაკეტილი სისტემიდან ფართო თანამშრომლობის გადასვლა.

არსებული მოცემულობის და კვლევის შედეგებით გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია **ორს + 1** - გარემოს დაცვით ინოვაციები და საინოვაციო პოლიტიკა + საჭიროებაზე ორიენტირებული ინოვაციური და გამოყენებითი სამეცნიერო ეკოსისტემა და ამის პარალელურად:

---

<sup>24</sup> ხუნდაძე ტ., კვლევა და განვითარება საქართველოში,  
<http://old.itv.ge/projects/analytics/?page=detail&id=166261>

1. ისეთ ინოვაციებზე და გამოგონებებზე ორიენტაცია, რომელიც ერთდროულად შეითავსებენ საჭიროებით განპირობებული მოთხოვნათა ფუნქციებს და სავალდებულო საჭიროებით აღჭურვილ ფუნქციებს ერთდროულად (საჭიროება + ეკოტექნოლოგიურობა (ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია რომლითაც მიიღება პროდუქტი) და ეკომეგობრულობა (საექსპლუატაციო ენერგო ეფექტიანობა, სიცოცხლისუნარიანობა და რეციკლირების შესაძლებლობა);

2. სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკაში, ცნობილი სამი პარალელური პროცესის ერთდროული ფორსირება:

- I. „გადმოტანის“ სტრატეგიის - საზღვარგარეთ არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება საკუთარ ეკონომიკაში (ინოვაციების იმპორტი);
- II. „დასესხების“ სტრატეგიის - საკუთარი მუშახელისა და საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებით იმ მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოების ათვისება, რომელიც უკვე იწარმოება განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში და ახალ თვისებებს იძენს მასში შესაძლო სიახლის შეტანით (ასეთი სიახლეების შეტანა შესაძლებელია უსასრულოდ, თუ სახელმწიფოში სწორად იქნება დაბანდებული არსებული და პოტენციური ინტელექტუალური რესურსი);
- III. „გადლიერების“ სტრატეგიის - საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენებით, ინოვაციების მუდმივი ზრდა და საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო იმიჯის შექმნა (რენოვაციური პოლიტიკის ფორსირება, რაც გულისხმობს გაუმჯობესებული ტექნოლოგიების ექსპორტს ანუ ტექნოლოგიების ტრანსფერს.

საწყის ეტაპზე პრიორიტეტული იქნება „დასესხების“ სტრატეგიის ელემენტები, რომლის დროსაც მოხდება ერთობლივი საწარმოების ორგანიზება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, პროდუქციის რეალიზაციისთვის უნდა მოხდეს პარტნიორის სასაქონლო ნიშნების გამოყენება, თუ საკუთარი ინტელექტუალური (ინოვაციური) პოტენციალის დამატებით, შესაძლებელი გახდება პროდუქციაში თვისობრივი სიახლის შეტანა, უკვე შესაძლებელი გახდება საქართველოს სახელით მოქმედება და საკუთარი საერთაშორისო საბაზრო იმიჯის დამკვიდრება, რაც მოგვცემს საშუალებას:

- ა) დაიწყოს არსებული საწარმოო პოტენციალის კიდევ უფრო განახლება;
- ბ) დაიწყოს საჭიროებაზე ორიენტირებული ახალი საინოვაციო პროექტების ფორსირება, ახალი (კონკურენტუნარიანი) პროდუქციის წარმოება და სამრეწველო პოტენციალის გაფართოვება;
- გ) გადაიქცეს რენოვაციური მიდგომები დასესხების პოლიტიკის ზედნაშენ და განუყოფელ პროცესად;
- დ) ინტელექტუალური პროდუქციის შექმნის შემთხვევაში, რომელთა დანერგვას რომელიმე დარგისთვის ან ქვეყნისთვის ექნება უპირატესი პოტენციალი, ჯერ უნდა იქცეს დარგის/ქვეყნის ერთგვარ სავიზიტო ბარათად და შემდგომ განხორციელდეს ტექნოლოგიური ტრანსფერი (სხვა შემთხვევაში, საქართველოში შექმნილი ინოვაცია, სხვა ქვეყნის ეკონომიკაში შეიტანს ლომის წილს და საკუთარი ქვეყნისთვის ექნება მიზერული სარგებელი).

როგორც ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა, საქართველოში სამეცნიერო და კვლევითი ორგანიზაციების საქმიანობა არ არის ორიენტირებული სახელმწიფო და კერძო სექტორებში არსებულ საჭიროებებსა და პრობლემების გადაჭრაზე. ერთის მხრივ არსებობს სამეცნიერო ხასიათის უამრავი გამოწვევა და უკვე არსებული მეცნიერული მიღწევები, რომელთა კონკრეტულ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე ადაპტაცია თუ ტრანსფორმაცია წმინდა სამეცნიერო და გამოყენებითი დარგის ამოცანებია. მეორეს მხრივ, არსებობს ახალ გამოწვევათა და მოთხოვნილებათა ზრდის უწყვეტი პროცესი. რადგან გლობალურმა ეკოლოგიურმა ცვლილებებმა მკვეთრად გაზარდა მოთხოვნა როგორც ეკომეგობრულ, ასევე ეკოტექნოლოგიურ პროდუქციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი რაც მიღწეულია, ექვემდებარება გაუმჯობესებას ახალი მოთხოვნების შესაბამისად და საჭიროებს მასზე განახლებული მოთხოვნის მკვეთრ ზრდას. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეფექტი მიღწეულია უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების ხარჯზე, მაგრამ ახალი მოთხოვნების შესაბამისად, სასწორზე იდება პროდუქციის ღირებულება თუ სიახლის ენერგო ეფექტიანობა, ეკოლოგიურობა, სიცოცხლისუნარიანობა, უტილიზაციის და რეციკლირების შესაძლებლობა, უპირატესობა ენიჭება ეკოლოგიურ მახასიათებლებს (გარემოს დაცვითი ინოვაციებს), ხოლო ღირებულება გადადის მეორე პლანზე. *ეს ერთდროულად დიდი გამოწვევაა და ამავე დროს უფრო დიდი შესაძლებლობის გახსნა.* სწორედ აქ ჩნდება ცოდნის რეალიზაციის და შესაბამისად მასზე რეალური მოთხოვნის მზარდი საჭიროება.

ის, რომ ასეთი გამოწვევების სასარგებლო პროცესებად გარდაქმნისთვის საჭიროა

მულტი დისციპლინარული კოლაბორაციული რგოლების შექმნა, რომელიც შეძლებს არსებული და ახალი გამოწვევების საპასუხო უკუქმედების უზრუნველყოფას, მის ინტეგრაციას მსოფლოს შესაბამის ინსტიტუციებთან და მთელი სისტემის საფეხურებრივ ტრანსფორმირებას საჭირო კონდიციამდე, არ უნდა იწვევდეს ეჭვს.

## დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად, გამოვლენდა, რომ საქართველოში ძალიან სუსტია ინტერესთა თანხვედრა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამრეწველო სექტორებს შორის. სახელმწიფოში არ ჩანს თანამშრომლობის სურვილით გამოკვეთილი საინოვაციო ეკოსისტემა, სადაც ექნება შესაძლებელი საკუთარი და საერთო ინტერესების თანხვედრა, ურთიერთ გაძლიერების და თანამშრომლობის რაიმე ტიპის პლატფორმა.

აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო აქტუალურდება იმ ფონზე, როდესაც მიმდინარეობს ფორსირებული სამეზობლო თუ გლობალური ცვლილებები, მათ შორის როგორც ეკონომიკური, ასე გარემოზე ზემოქმედების გლობალური გადაწყობის პროცესი. ესეთი გლობალური ცვლილებები, გამოწვევებთან ერთად აჩენენ ძალიან დიდი პოტენციალის მქონე ახალ შესაძლებლობებსაც. ასეთ ვითარებაში კი უალრესად მნიშვნელოვანია მზაობა და შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ასეთ პროცესში მონაწილეობა საერთო სარგებლის მისაღებად.

მსოფლიოს შემოზრუნება ეკოლოგიის გაჯანსაღებისკენ ხსნის უკიდევანო შესაძლებლობებს კრეატიული და შემოქმედებითი საქმიანობისთვის, რადგან ყველაფრის გაუმჯობესება და უპირატესობის მოპოვებაა შესაძლებელი თუ მიღებული შედეგი სხვებთან შედარებით უფრო ეკოლოგიური ან ენერგო ეფექტიანია. ინტერესთა თანხვედრის და თანამშრომლობის შემოთავაზებული ეკოსისტემის მოდელი, სერიოზული მხარდამჭერი ფაქტორი შეიძლება გახდეს საქართველოს სუბიექტთა თვითრეალიზაციისთვის, ასეთ პროცესებში ჩართულობის და მონაწილეობისთვის, არსებული რესურსების კონცენტრირებისთვის კონკრეტულ საჭიროებებზე, გამოწვევების შესაბამისი ასპარეზის გასახსნელად და მსოფლიო ასპარეზში დამსახურებული იმიჯის შესაქმნელად.



## **Statistical Investigation of the Possible Relations between Bitcoin Prices and NASDAQ Index**

**Avtandil Gagnidze**

Professor, Doctor of Sciences in Physics and Mathematics

*East European University*

**Maksim Iavich**

Professor, Doctor of Sciences in Mathematics

*Caucasus University*

### **Abstract**

With the improvement of data technology advances and sharp addition of web customers number since 90s, numerous computerized monetary standards are presented. Most popular among them is Bitcoin. It was decided to investigate the possible relations between most popular cryptocurrency Bitcoin price dynamics and global Nasdaq index dynamics using Mathematical and Statistical methods. The main question is: Are the Bitcoin prices somehow related with Nasdaq Composite Index? We use both, Quantitative and Qualitative data analysis methods to answer this question: Namely, the Regression model and Non-Parametric testing. According to Quantitative methods it was found that there exists correlation and the regression equation is not bad: it seems that it is possible to explain about 60% of changes in Bitcoin Prices by changes in Nasdaq Index. According to Qualitative methods it was found that these two variables are independent. In this case the Qualitative conclusion is more likely to be right, and the correlation is most likely because of coincidence.

**Keywords:** *Statistical Dependence, Correlation, Cryptocurrency*

## **Statistical Investigation of the Possible Relations between Bitcoin Prices and NASDAQ Index**

**Avtandil Gagnidze**

Professor, Doctor of Sciences in Physics and Mathematics

*East European University*

**Maksim Iavich**

Professor, Doctor of Sciences in Mathematics

*Caucasus University*

### **Introduction**

To begin, the history of Bitcoin is very interesting. While looking at different ideas how to

investigate if Bitcoin is really the new kind of currency, the idea is that if Bitcoin is “money”, then it could be somehow related to the Real Economy and its performance. Computerized cash is a virtual cash, thusly it doesn't have a physical structure, it's unlimited, decentralized system and can displace the cash in any trade. In addition it is interesting:

- What is the effect of the cryptographic types of cash on economy of the country and cash subject to existing monetary techniques?
- How might we have the option to think about compensation from computerized cash in the country's finished economy?

### **Cryptocurrency**

The first cryptocurrency was created in 2008 by an unknown person, or gang, known as Satoshi Nakamoto (Marr, 2016). However, there have been times when people have tried to make virtual money that would be cryptographically protected. For example "Bit-Gold" and "B-Money". They were brought to an early stage, but not fully developed so that anyone could consume them. In 2009, a system was developed to make Bitcoin available to the public. "Mining" was introduced, one of the ways to generate cryptocurrencies. At this time the user will gain new bitcoins and transactions will be written and verified in blockchain. The main purpose of blockchain technology is to create a secure digital identity based on the right combination of open and closed cryptographic keys. The combination of these keys is treated as consent and represents a digital signature. In turn, this digital signature provides strong ownership control. It seems that the Bitcoin is safe, and this is the advantage.

In our previous paper (Gagnidze, 2021) we investigated the possibility of the forecasting of Bitcoin prices dynamics using Time-Series Analysis. We found that there is no more or less good model for forecasting. So far no one traded in real economy using Bitcoins. That is why it was impossible for anyone to price their cryptocurrency units. However, the time has come for this and Bitcoin needs to be evaluated. Initially one customer exchanged 10,000 units of BTC in two pizzas. At today's prices, it reaches one hundred million dollars. Later, when many had already heard about bitcoin and reached a certain level of popularity, other cryptocurrencies appeared to offer improved conditions for consumers. For example, more protection, speed, etc. There are more than 1,000 cryptocurrencies in the world today and over time they are being created. Therefore it is not clear for now if Bitcoin can replace the real currency. (Chaim, 2019)

### **Nasdaq Index**

The index was launched in 1971, with a starting value of 100. Over the years, the index has soared tremendously despite multiple periods of decline (Google, n.d.). On July 17, 1995, the index closed above the 1,000 mark for the first time. It made steady gains in the following years to reach 2,000 points by 1998, then began to accelerate significantly. This process mushroomed in late 1999. The index closed that year at 4,069.31 points. On March 10, 2000, the index finally peaked at an intra-day high of 5,132.52, and closed at an all-time high of 5,048.62.

On March 10, 2000, the NASDAQ Composite peaked at 5,132.52, but fell to 3,227 by April 17, and in the following 30 months fell 78% from its peak. The decline from this peak signaled the beginning of the dot-com bubble burst. There were multiple things contributing to this Dot-com boom and bust. Some optimists thought the internet and World Wide Web would be more significant to business than any kind of Industrial Revolution in the past, possibly enabling us to achieve a Technological Singularity. The index declined to half its value within a year, and finally hit the bottom of the bear market trend on October 10, 2002, with an intra-day low of 1,108.49. While the index gradually recovered since then, it did not trade for more than half of its peak value until May 2007. The 2000s (decade) brought a mix of pessimistic news stemming from the Early 2000s recession, the September 11 attacks and the impending Afghan War along with the 2003 invasion of Iraq.

### Research Question

It is interesting to answer the following question using statistical methods: Are the Bitcoin prices somehow related with Nasdaq Composite Index?

### Quantitative Data Analysis

For the Quantitative Analysis usually using of Correlation Analysis and Regression Analysis is appropriate. In statistics, **correlation** or **dependence** is any statistical relationship, whether causal or not, between two random variables or bivariate data. In the broadest sense **correlation** is any statistical association, though it commonly refers to the degree to which a pair of variables are linearly related.

A **correlation** exists between two variables when higher values of one variable consistently go with higher values of another variable or when higher values of one variable consistently go with lower values of another variable. (Bennet, 2014) Correlations are useful because they can indicate a predictive relationship that can be exploited in practice. However, in general, the presence of a correlation is not sufficient to infer the presence of a causal relationship (i.e., correlation does not imply causation) (Bennet, 2014). The most familiar measure of dependence between two quantities is the "Pearson's correlation coefficient", commonly called simply "the correlation coefficient". Mathematically, it is defined as the quality of least squares fitting to the original data. It is obtained by taking the ratio of the covariance of the two variables in question of our numerical dataset, normalized to the square root of their variances. Correlation coefficient attempts to establish a line of best fit through a dataset of two variables by essentially laying out the expected values and the resulting Pearson's correlation coefficient indicates how far away the actual dataset is from the expected values. Depending on the sign of our Pearson's correlation coefficient, we can end up with either a negative or positive correlation if there is any sort of relationship between the variables of our dataset.

Perhaps the most important caution about interpreting correlations is one we've already mentioned: ***Correlation does not necessarily imply causality***. In general, correlations can appear for any of the following three reasons.

1. The correlation may be a *coincidence*.
2. Both correlation variables might be directly influenced by some *common underlying cause*.
3. One of the correlated variables may actually be a *cause* of the other. But note that, even in this case, it may be just one of several causes. (Bennet, 2014)

In any **regression model**, the variable to be predicted is called the **dependent variable** or **response variable**. The value of this is said to be dependent upon the value of an **independent variable**, which is sometimes called an **explanatory variable** or a **predictor variable**. To investigate the relationship between variables, it is helpful to look at a graph of the data. Such a graph is often called a **scatter diagram** or a **scatter plot**.

**Simple Linear Regression Model** for the population is the equation in the following form:

$$Y_i = \beta_0 + \beta_1 X_i + \varepsilon_i,$$

where  $Y_i$  are values of a dependent variable,  $\beta_0$  is the population intercept,  $\beta_1$  is the population slope coefficient, and  $X_i$  are values of an independent variable, and  $\varepsilon_i$  are values of a random error term.

Because of for the finding of the regression line limited sample data is used, in reality the constructed regression equation is a little bit different and is given in the following form:

$$\hat{Y}_i = b_0 + b_1 X_i$$

where  $\hat{Y}_i$  is the predicted value for observation  $i$ ,  $b_0$  is the regression intercept and represents the estimation of the population intercept,  $b_1$  is the regression slope and represents the estimation of the population slope,  $\hat{X}_i$  is the value of independent variable for observation  $i$ .

The individual random error terms

$$e_i = (Y_i - \hat{Y}_i) = Y_i - (b_0 + b_1 X_i)$$

have mean of zero.

Slope and intercept of the above mentioned regression equation are calculated in order to minimize the Sum of Squared Errors (SSE):

$$\min SSE = \min \sum e_i^2 = \min \sum (Y_i - (b_0 + b_1 X_i))^2$$

It's evident that calculations by hands using Differential Calculus are too long and complicated. (Newbold, 2013). Therefore Excel or other Statistical software could be used.

## Data Collection

Data was collected from official sites (See (Google, n.d.), (Coindesk, n.d.)) from December 1, 2019 to February 6, 2020. Because of Bitcoin prices in this data are given daily (every day), but Nasdaq Index data is given for working days, for the Weekend and Holiday days Nasdaq Index is assumed to equal to the most close preceding working day. The data is presented in the table and chart below:

**Table 1: Bitcoin Price and Nasdaq Index Dynamics**

Date	Nasdaq	Bitcoin	Date	Nasdaq	Bitcoin	Date	Nasdaq	Bitcoin
------	--------	---------	------	--------	---------	------	--------	---------

	Close	Close		Close	Close		Close	Close
1-Dec-19	8,567.9	7424.292	24-Dec-19	8,952.8	7322.532	16-Jan-	9,357.1	8723.78
2-Dec-	8,567.9	7321.988	25-Dec-19	9,022.3	7275.156	17-Jan-	9,388.9	8929.03
3-Dec-	8,520.6	7320.146	26-Dec-19	9,022.3	7238.967	18-Jan-	9,370.8	8942.80
4-Dec-	8,566.6	7252.035	27-Dec-19	9,006.6	7290.088	19-Jan-	9,370.8	8706.24
5-Dec-	8,570.7	7448.308	28-Dec-19	8,945.9	7317.99	20-Jan-	9,370.8	8657.64
6-Dec-	8,656.5	7546.997	29-Dec-19	8,945.9	7422.653	21-Jan-	9,370.8	8745.89
7-Dec-	8,621.8	7556.238	30-Dec-19	8,945.9	7292.995	22-Jan-	9,383.7	8680.87
8-Dec-	8,621.8	7564.345	31-Dec-	8,972.6	7193.599	23-Jan-	9,402.4	8406.51
9-Dec-	8,621.8	7400.899	1-Jan-20	9,092.1	7200.174	24-Jan-	9,314.9	8445.43
10-Dec-	8,616.1	7278.12	2-Jan-20	9,092.1	6985.47	25-Jan-	9,139.3	8367.84
11-Dec-	8,654.0	7217.427	3-Jan-20	9,020.7	7344.884	26-Jan-	9,139.3	8596.83
12-Dec-	8,717.3	7243.134	4-Jan-20	9,071.4	7410.657	27-Jan-	9,139.3	8909.81
13-Dec-	8,734.8	7269.685	5-Jan-20	9,071.4	7411.317	28-Jan-	9,269.6	9358.59
14-Dec-	8,814.2	7124.674	6-Jan-20	9,071.4	7769.219	29-Jan-	9,275.1	9316.63
15-Dec-	8,814.2	7152.302	7-Jan-20	9,068.5	8163.692	30-Jan-	9,298.9	9508.99
16-Dec-	8,814.2	6932.48	8-Jan-20	9,129.2	8079.863	31-Jan-	9,150.9	9350.52
17-Dec-	8,823.3	6640.515	9-Jan-20	9,203.4	7879.071	1-Feb-	9,273.4	9392.87
18-Dec-	8,827.7	7276.803	10-Jan-	9,273.9	8037.538	2-Feb-	9,273.4	9344.36
19-Dec-	8,887.2	7202.844	10-Jan-	9,178.8	8166.554	3-Feb-	9,273.4	9293.52
20-Dec-	8,924.9	7218.816	12-Jan-	9,273.9	8192.494	4-Feb-	9,467.9	9180.96
21-Dec-	8,924.9	7191.159	13-Jan-	9,273.9	8144.194	5-Feb-	9,508.6	9613.42
22-Dec-	8,945.6	7511.589	14-Jan-	9,251.3	8827.765	6-Feb-	9,572.1	9729.80
23-Dec-	8,945.6	7355.628	15-Jan-	9,258.7	8807.011			




Chart 1: Bitcoin Price and Nasdaq Index Dynamics

The correlation coefficient calculated using Excel equals to 0.784073, that indicates the moderate strong correlation. Using Excel Data Analysis Regression tool it is possible to derive the Linear regression model:

Table 2: Regression summary output

<i>Regression Statistics</i>	
Multiple R	0.784073
R Square	0.614771
Adjusted R Square	0.608934
Standard Error	524.624

Observations	68
--------------	----

ANOVA					
	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>Significance. F</i>
Regression	1	28989062.57	28989063	105.3265	2.636E-15
Residual	66	18165203.26	275230.4		
Total	67	47154265.83			

	<i>Coefficients</i>	<i>Stand. Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>	<i>Lower 95%</i>	<i>Upper 95%</i>
Intercept	-13627.6	2106.071112	-6.47063	1.4E-08	-17832.52	-9422.7
Nasdaq	2.388713	0.232752892	10.26287	2.64E-15	1.924007	2.853419

The regression equation according to this model is:

$$\text{Bitcoin Price} = -13627.6 + 2.388713 \cdot \text{Nasdaq Index}$$

The coefficient of determination is 0.614771. It means that about 61% of changes in Bitcoin Prices could be explained by changes in Nasdaq Index. That is not too bad. At the same time the Standard Error of estimate is 524.624. It means that for estimated value of the particular Bitcoin Price, say 8000, the real price is expected to be roughly between 7480 and 8520. The interval is not small.

### Qualitative Data Analysis

When thinking on dependence/independence of two qualitative variables it is usual to consider two Hypothesis:

- The **null hypothesis**,  $H_0$ , states that the variables are independent (there is *no relationship* between them).
- The **alternative hypothesis**,  $H_a$ , states that there *is* a relationship between the two variables.

With the hypotheses identified, the next step in the hypothesis test is to examine the data set to see if it supports rejecting or not rejecting the null hypothesis.

Data could be displayed efficiently with a **two-way table** (also called a **contingency table**), so named because it displays two variables. (Bennet, 2014)

A **two-way table** shows the relationship between two variables by listing one variable in the rows and the other variable in the columns. The entries in the table's cells are called *frequencies*.

The basic idea of the hypothesis test is to decide whether the data provide enough evidence to reject the null hypothesis.

For the case of a test with a two-way table, the specific steps are as follows:

- Starting by assuming that the null hypothesis is true, meaning there is no relationship between the two variables. In that case, it is expected the frequencies (the numbers in the individual cells) in the two-way table to be those that would occur by pure chance. So the first step, then, is to find a way to calculate the frequencies we would expect by chance. For each cell in the

two-way table, identify  $O$  as the observed frequency and  $E$  as the expected frequency if the null hypothesis is true (no relationship between the variables).

- Next step is comparison the frequencies expected by chance to the observed frequencies from the sample, which are the frequencies displayed in the table. To do this *chi-square statistic* was calculated for the sample data. In general, the larger this value is, the greater the average difference between the observed and expected frequencies in the cells.

**Decision rule:**

- If the calculated value of  $\chi^2$  is *less than* the critical value, the differences between the observed and expected values are small and there is *not* enough evidence to reject the null hypothesis.
- If the calculated value of  $\chi^2$  is *greater than or equal to* the critical value, then there is enough evidence in the sample to reject the null hypothesis.

Commonly used **critical values** for the usual significance level of 0.05 for 3 by 3 tables is 9.488. As for regression, calculations are long and complicated. Therefore again Statistical software is used. (Bennet, 2014)

**Qualitative Data preparation**

To determine qualitative links, the Nasdaq Index and Bitcoin price percentage changes were calculated:

Table 3: Changes in Bitcoin Price and Nasdaq Index - Quantitative

Nasdaq % Change	Bitcoin % Change	Nasdaq % Change	Bitcoin % Change	Nasdaq % Change	Bitcoin % Change
0.000	-1.378	0.081	-0.450	0.080	-0.235
-0.553	-0.025	0.776	-0.647	1.063	-0.945
0.540	-0.930	0.000	-0.497	0.340	2.353
0.047	2.706	-0.175	0.706	-0.193	0.154
1.001	1.325	-0.673	0.383	0.000	-2.645
-0.401	0.122	0.000	1.430	0.000	-0.558
0.000	0.107	0.000	-1.747	0.000	1.019
0.000	-2.161	0.297	-1.363	0.138	-0.743
-0.066	-1.659	1.333	0.091	0.199	-3.161
0.440	-0.834	0.000	-2.982	-0.931	0.463
0.731	0.356	-0.786	5.145	-1.885	-0.919
0.201	0.367	0.562	0.895	0.000	2.736
0.908	-1.995	0.000	0.009	0.000	3.641
0.000	0.388	0.000	4.829	1.426	5.037
0.000	-3.073	-0.032	5.077	0.059	-0.448
0.104	-4.212	0.669	-1.027	0.256	2.065
0.050	9.582	0.813	-2.485	-1.591	-1.666
0.674	-1.016	0.766	2.011	1.338	0.453
0.425	0.222	-1.025	1.605	0.000	-0.516
0.000	-0.383	1.036	0.318	0.000	-0.544
0.232	4.456	0.000	-0.590	2.098	-1.211
0.000	-2.076	-0.244	8.393	0.430	4.710

According to table, maximal percentage increase for Nasdaq Index is 2.098 and the maximal decrease is 1.885. The corresponding values for Bitcoin Prices are 9.582 and 4.212.

The following criteria for the Nasdaq Index was introduced:

- If the percentage change is less than -0.1%, then Index went down
- If the percentage change is more than 0.1%, then Index went up
- Otherwise Index unchanged

The following criteria for the Bitcoin Prices was introduced:

- If the percentage change is less than -1%, then Price went down
- If the percentage change is more than 1%, then Price went up
- Otherwise that Price unchanged

According to these criteria, the following Two Way table is created:

Table 3: Changes in Bitcoin Price and Nasdaq Index – Qualitative.

<b>NASDAQ</b> → <b>BITCOIN</b> ↓	Down	Stay	Up	Total
Down	1	7	3	11
Stay	8	11	8	27
Up	8	13	7	28
Total	17	31	18	66

After this compilation we used Excel Add-in for conducting the  $\chi^2$  test for independence with 3 by 3 table. As usually the Null Hypothesis is that Nasdaq Index changes and Bitcoin Price changes are independent. Testing results are given below in a Table below.

**Table 4: Nasdaq vs Bitcoin Independence Testing**

Observed Frequencies			
	Down	Stay	Up
Down	1	7	3
Stay	8	11	8
Up	8	13	7
Expected Frequencies			
	Down	Stay	Up
Down	2.833	5.167	3.000
Stay	6.955	12.682	7.364
Up	7.212	13.152	7.636

After relevant calculations we find that: the critical value of  $\chi^2$  is 9.488, the test statics is 2.413, and P-value of the test is 0.660. Because of  $2.413 < 9.488$  and the P-value is too large, we conclude that, the Nasdaq Index changes and Bitcoin Price changes are not related.

## Conclusions



According to Quantitative methods it was found that there exists correlation and the regression equation is not bad: it is possible to explain about 61% of changes in Bitcoin Prices by changes in Nasdaq Index. According to Qualitative methods it was found that these two variables are independent. In this case the Qualitative conclusion is more likely to be right, and the correlation is most likely because of coincidence.

## References

1. Bernard Marr, A short history of Bitcoin and Cryptocurrency, 2016
2. Avtandil Gagnidze, Maksim Iavich, Time-series Analysis of Bitcoin prices, Collection of Scientific papers, East European University, 2021
3. Chaim and Laurini, Is Bitcoin a Bubble?, 2019
4. <https://www.coindesk.com/price/bitcoin/>
5. Bennet, Brigs, Triola, Statistical Reasoning for Everyday Life, 4<sup>th</sup> ed. 2014
6. <https://finance.yahoo.com/quote/%5EIXIC>
7. Newbold, Carlson, Thorne. Statistics for Business and Economics, Pearson education, 2013

## ბიტკოინის ფასებსა და და NASDAQ ინდექსს შორის შესაძლო დამოკიდებულების სტატისტიკური კვლევა

### ავთანდილ გაგნიძე

პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი  
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
მაქსიმ იავიჩი

პროფესორი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი  
კავკასიის უნივერსიტეტი

### ანოტაცია

საინფორმაციო ტექნოლოგიების და მათი გამოყენებების სწრაფი ზრდის ტემპის პარალელურად ბევრი ახალი „კომპიუტერიზებული“ ახალი ვალუტა ჩნდება. სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება „ახალი ფულით“ - ბიტკოინით. ნაშრომში გამოკვლეულია პოპულარული კრიპტოვალუტის, ბიტკოინის ფასების ცვლილებების და გლობალური NASDAQ ინდექსის ცვლილებებს შორის შესაძლო კავშირები მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდებით. ჩვენი მთავარი საკვლევი კითხვაა: არსებობს თუ არა რაიმე სახის ურთიერთკავშირი ბიტკოინის ფასების დინამიკასა და გლობალური NASDAQ ინდექსის დინამიკას შორის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ ვიყენებთ როგორც

რაოდენობრივი ანალიზის, ისე თვისობრივი ანალიზის მეთოდებს. კერძოდ: რეგრესიულ მოდელს და არაპარამეტრული ტესტირების მეთოდს. რაოდენობრივი მეთოდების შედეგებიდან ჩვე ვხედავთ, რომ არსებობს საკამოდ მაღალი დადებითი კორელაცია ბიტკოინის ფასებსა და NASDAQ ინდექსის მნიშვნელობებს შორის და რეგრესიული მოდელის საშუალებით ბიტკოინის ფასების ცვლილების დაახლოებით 60%-ის ახსნა შესაძლებელია NASDAQ ინდექსის ცვლილებებით. ამასთან, თვისობრივი ანალიზის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ რაიმე სახის ურთიერთკავშირი ბიტკოინის ფასების ცვლილებების და გლობალური NASDAQ ინდექსის ცვლილებებს შორის არ არსებობს და ეს ცვლადები დამოუკიდებელია. ასეთ შემთხვევაში უფრო სარწმუნოა თვისობრივი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა და მაღალი კორელაცია ალბათ შესაძლებელია იყოს შემთხვევითი.

*საკვანძო სიტყვები: სტატისტიკური დამოკიდებულება, კორელაცია, კრიპტოვალუტა*

## **ბიტკოინის ფასებსა და NASDAQ ინდექსს შორის შესაძლო დამოკიდებულების სტატისტიკური კვლევა**

### **ავთანდილ გაგნიძე**

პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი  
აღმოსავლეთი ევროპის უნივერსიტეტი  
**მაქსიმ იავიჩი**

პროფესორი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი  
კავკასიის უნივერსიტეტი

### **შესავალი**

ბიტკოინის ისტორია ძალიან საინტერესოა და ძირითადი კითხვა, რომელიც წარმოადგენს სადისკუსიო საკითხს შეიძლება ასე: არის თუ არა ბიტკოინი მართლაც ფულის ახალი სახე? ჩვენი წარმოდგენით, თუ ბიტკოინი მართლაც არის ახალი სახეობის ფული, მაშინ ის და მისი ცვლილებები რაიმე ფორმით უნდა იყოს რეალურ ეკონომიკასთან და მისი განვითარების რეალურ მაჩვენებლებთან. ციფრული ფული არის ვირტუალური ფული და ამდენად არ არის ფიზიკური ფული, მისი მოცულობა როგორც წესი არ არის შეზღუდული, არ არის მისი მართვის ცენტრალიზაცია, და მისი გამოყენება

არ არის შეზღუდული ფორმალური ჩარჩოებით. ამასთან ასევე საინტერესოა:

- რა არის კრიპტოვალუტის სახის ფულის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და ტრადიციულ საფინანსო ინსტრუმენტებზე?
- შესაძლებელია თუ არა რაიმე სარგებლის მიღება ქვეყნის რეალური ეკონომიკის განვითარებისათვის ციფრული ფილის გამოყენებით?

### კრიპტოვალუტა

Deloitte Report. (2021), “Building the future-ready workforce” available at <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ca/Documents/consulting/ca-future-ready-workforce-en-aoda.pdf> (accessed 23 December 2021).

Deloitte (2018), “The Rise of the Social Enterprise”, *Global Human Capital Trends*

Deloitte Report. (2017), “What Key Competencies Are Needed in the Digital Age?” available at

<https://www2.deloitte.com/ch/en/pages/innovation/articles/competencies-in-the-digital-age.html> (accessed 8 April 2021).

Dusi, P. Messetti, G. Steinbach, M. (2014). "Skills, Attitudes, Relational Abilities & Reflexivity: Competences for a Multicultural Society", *Procedia - Social and Behavioral Sciences*, Vol. 112 p.538-547

Eaton, K. and Mallon, D. (2021), "The Worker-employer Relationship Disrupted", Deloitte Insights, available at <https://www2.deloitte.com/us/en/insights/focus/human-capital-trends/2021/the-evolving-employer-employee-relationship.html> (accessed 3 December 2021).

"Keynote: The World of Work Has Changed: What's Next?" (2021), Talent Canada, Driving People through Investment – [KEYNOTE: The world of work has changed. What's next? - Talent Canada](#)

Kofler, I. Innerhofer, E. Marcher, A. Gruber, M. Pechlaner, H. (2020), "The Future of High-Skilled Workers: Regional Problems and Global Challenges", Cham, Switzerland: [Springer Verlag](#).

Lewis, A. (2021), "5 Key Human Skills to Thrive in the Future Digital", Harvard Business Publishing, available at <https://www.harvardbusiness.org/5-key-human-n-skills-to-thrive-in-the-future-digital-workplace/> (accessed 20 November 2021).

Mallon, D. (2021), "Predictions 2021: Skills Graph" available at <https://www2.deloitte.com/us/en/blog/human-capital-blog/2021/predictions-skillsgraph.html> (accessed 25 November 2021).

Mankins, M. Garton, E. and Schwartz D. (2021), "Future-Proofing Your Organization" Harvard Business Review, available at <https://hbr.org/2021/09/future-proofing-your-organization> (accessed 23 November 2021).

Moueddene, K. *et al.* (2019), "Expected Skills Needs for the Future of Work", available at <https://www2.deloitte.com/be/en/pages/public-sector/articles/upskilling-the-workforce-in-european-union-for-the-future-of-work.html> (accessed 12 April 2021).

Powell, W. W, Snellman, K (2004). "The Knowledge Economy". [Annual Review of Sociology](#). **30** (1): 199–220. [doi:10.1146/annurev.soc.29.010202.100037](https://doi.org/10.1146/annurev.soc.29.010202.100037)

Radwan, I. Pell egrini, G. (2010) "[Singapore's Transition to the Knowledge Economy: From](#)

[Efficiency to Innovation](#)". Knowledge, Productivity, and Innovation in Nigeria: Creating a New Economy. Washington, DC: The World Bank.

Seattle Office of Economic Development (2020), "Covid 19 and the Future of Work",

Report Smith, K (2002). "What is the 'Knowledge Economy'? Knowledge Intensity and Distributed Knowledge Bases" (PDF). *Discussion Papers from United Nations University, Institute for New Technologies, No. 6.*

Unger, R. M. (2019), *The Knowledge Economy*, London

Wolinsky, J. (2021), "Four Potential Futures for the Worker-employer Relationship"

available at <https://ceoworld.biz/2021/07/29/the-four-potential-futures-of-worker-employer-relationship-after-covid/> (accessed 10 December 2021).

World, Bank. Building Knowledge Economies: Advanced Strategies for Development.

World Bank Publications. 2007

3.1 Циклы развития человеческого капитала как драйверы инновационных волн –

[https://econ.bobrobro.ru/29165#google\\_vignette](https://econ.bobrobro.ru/29165#google_vignette)

Корчагин Ю.А. Циклы развития человеческого капитала как драйверы инновационных волн. - Воронеж: ЦИРЭ, 2010

## განათლების სისტემა და ტრანსფორმირებული გარემო საქართველოში

**ლილი ბიბილაშვილი**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი  
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

**ლელა ფირალიშვილი**

ფილოსოფიის დოქტორი  
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

**ნინო გონაშვილი**

ადამიანური რესურსების მართვა და  
ინდუსტრიული ურთიერთობის მაგისტრი  
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარდა კვლევა VUCA (არამდგრად, განუსაზღვრელ, რთულ და არაერთაზროვან) სამყაროს აჩქარებული ტემპებით გამოწვეული განსხვავებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო რეჟიმის პირობებში

სამომავლო, საბაზო კომპეტენციების გააზრებისა და დადგენის შესახებ საქართველოს შრომის ბაზარზე. შრომის ბაზრის თვისობრივი ცვლილებიდან და გაზრდილი კონკურენციიდან გამომდინარე, ფორმალურ განათლებასთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება საჭირო კომპეტენციების განვითარება სწავლის პარალელურად. თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციებისა და პრაქტიკის მიხედვით, სამსახურში აყვანის დროს ტექნიკურ ცოდნასთან ერთად ფასდება პოზიციის შესაბამისი და, ასევე, ორგანიზაციის მიერ დადგენილი ძირითადი ტრანსფერული კომპეტენციები.

კვლევის მთავარი ხაზი ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ჩარჩო დოკუმენტის „განათლება და ტრენინგი 2020“-ის ძირითად იდეას მიუყვება, რომლის თანახმადაც რელევანტური და მაღალი ხარისხის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარება ხდება უწყვეტი განათლების მიწოდების გზით და ისინი მჭიდრო კავშირშია დასაქმებასთან, ინოვაციასთან, აქტიურ მოქალაქეობასა და კეთილდღეობასთან. კვლევას ასევე საფუძვლად დაედო 2018 - 2021 წელს საკონსულტაციო კომპანია „დელოიტის“ მიერ ჩატარებული ადამიანური კაპიტალის გლობალური ტენდენციების კვლევა.

რაოდენობრივი კვლევის საშუალებით მოხდა კურსდამთვრებულთა და სამივე საფეხურის დამამთავრებული კურსის სტუდენტების დამოკიდებულების გაცნობა უმაღლეს სასწავლებლებში მოთხოვნილ საბაზო კომპეტენციების შეძენისა და განვითარების შესახებ. კვლევაში მოცემულია სხვადასხვა კლასტერის წარმომადგენელთაგან შემდგარი ფოკუს ჯგუფებიდან, ასევე განათლების, ბიზნესისა და ადამიანური რესურსების დარგის ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე გაკეთებული ანალიზის შედეგები. საყურადღებოა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე გამოკვეთილი საბაზო კომპეტენციები განსხვავებულია და მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს. ციფრული უნარები, კომუნიკაციის უნარები და უცხოური ენის შესწავლა ის ძირითადი ტრანსფერული უნარებია, რომელიც შრომის ბაზარზე არსებულმა ყველა მოთამაშემ დაასახელა. დანარჩენი დისკურსები განხილულია კვლევაში.

კვლევის შედეგები გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, არამედ დამსაქმებლებისთვის და სამუშაოს მაძიებლებისთვისაც. კვლევის ბოლოს ჩამოყალიბებული რეკომენდაციები კი უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სამოქმედო გეგმის ნაწილადაც შეიძლება იქცეს.

საკვანძო სიტყვები: კომპეტენციები, მომავლის პროფესიები, ციფრული უნარები, კომუნიკაციის უნარები, ტრანსფერული უნარები

### განათლების სისტემა და ტრანსფორმირებული გარემო საქართველოში

ლილი ბიბილაშვილი სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი	ლელა ფირალიშვილი ფილოსოფიის დოქტორი	ნინო გონაშვილი ადამიანური რესურსების მართვა და ინდუსტრიული ურთიერთობის მაგისტრი ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

პანდემიამ და, შესაბამისად, იმ ტიპის „ლოქდაუნმა“, რომელიც მთელ პლანეტაზე განხორციელდა, რა თქმა უნდა, არა თუ ცხოვრების წესი, არამედ ე. წ. მსოფლიო „განვითარების“ ვექტორი ბევრწილად შეცვალა. მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება სრულიად ახალ რაკურსში მოითხოვს განხორციელებას. ტრანსფორმირების ის ხარისხი, რომელიც უმოკლეს დროში მივიღეთ, განსაკუთრებული საჭიროებების წინაშე აყენებს არა თუ ქვეყნებსა და მათი განვითარების სამომავლო სტრატეგიებს, არამედ თითოეულ ქვეყანაში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს, რომელმაც უმოკლეს დროში გააცნობიერა მომავლის საჭიროებები და ის პრობლემები, რომელიც მის წინაშე დადგა.



განათლების სისტემის აკადემიური ვერსია, ისევე როგორც ბევრი სხვა ძველ კულტურულ პარადიგმაში მოქცეული პროცესი, ტურბულენტურ რყევებს განიცდის. ერთადერთი უეჭველი გახლავთ ის, რომ განათლების სფეროს ფორმატი ისეთი ვეღარ იქნება, როგორც სულ რამდენიმე წლის წინ იყო. თუმცა, სრულიად ტრანსფორმირებულ მსოფლიოში განათლება ერთადერთი ბაზისური საყრდენია, საიდანაც ახალი ცხოვრების წესი ამოიზრდება. ამ თემამ საგანმანათლებლო სივრცე ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ქართული საგანმანათლებლო სივრცე ბევრწილად იმეორებს მსოფლიოში აპრობირებულ განათლების მოდელებს და ეს გასაგებიცაა. თუმცა, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, საგანმანათლებლო სისტემამ ახალ თაობებს მისცეს და გადასცეს კომპეტენციების ის ძირითადი ნიშნულები და სიმყარეები, რომელთა გამოყენებითაც დღევანდელი ახალგაზრდა უსწრაფესად ცვალებად გარემოში ადაპტირებისას (გონიერებაზე ამოზრდილ მსოფლმხედველობრივ, თუ ცოდნისა და უნარის მინიმუმზე გათვლილ) საბაზისო საყრდენად გამოიყენებს. მით უფრო, უკვე რამდენიმე ათწლეულის გამოცდილება გვკარნახობს, რომ მყარად სახელდებული სპეციალობა ვეღარ იარსებებს, თუ გვინდა, რომ მომავალში კონკურენტუნარიანები ვიყოთ დღევანდელ კალენდოსკოპურად ცვალებად გარემოში.

VUCA სამყარო, გლობალიზაცია, გაზრდილი კონკურენცია და ა.შ. სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს არა მხოლოდ პროფესიონალებს და ე. წ. დასაქმებულებს, არამედ კომპანიებს. სრული მოდერნიზაციის პირობებში არსებულ პრობლემებთან გასამკლავებლად განსაკუთრებული, სახეცვლილი მონაცემების მქონე ადამიანების გადასაბირებლად ნამდვილი ომია გაჩაღებული შრომის ბაზარზე. ეს აშკარად მიუთითებს თანამედროვე მოთხოვნებით განპირობებული კომპეტენციების ნაკლებობას, რაც აფერხებს და ხელისშემშლელი ფაქტორია კომპანიების საქმიანობისათვის და ბუნებრივია, პირდაპირ ასახვას პოვნებს ქვეყნის ეკონომიკასა და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე.

საქართველოს მთავრობა ნამდვილად აცნობიერებს განათლების როლს, მნიშვნელობას და ოფიციალურად აცხადებს: „**განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ქვაკუთხეა**“.<sup>67</sup> მწყობრად ჩამოყალიბებული ხედვის მიუხედავად, რეალობა შორსაა დეკლარირებულისგან. პირველ რიგში, თავად განათლების სისტემის პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან საზრისის გაცნობიერება

<sup>67</sup> განათლებისადამეცნიერებისერთიანისტრატეგია-2017-2021, გვ. 8  
[https://mes.gov.ge/uploads/MESStrategy\\_2017-2021.pdf](https://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf)

და კონცენტრაციაა საჭირო იმ აუცილებელი კომპეტენციების განვითარებაზე, რომელიც თანამედროვე გამოწვევების პირობებში, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, განათლების სისტემის ტრანსფორმაციასა და გაჯანსაღებას უზრუნველყოფს. ამ და კიდევ არაერთ მსგავს პრობლემას კომპლექსურად თუ შევხედვით, აღმოჩნდება, რომ ახალი მსოფლმხედველობრივი ბაზისის მოპოვების წინაშე ვდგავართ.

შესაბამისად, კვლევა მომავლის საბაზო კომპეტენციების მოდელების შესახებ პირველ რიგში, მიმოიხილავს VUCA სამყაროში გაჩენილ ახალ და მომავლის პროფესიებისთვის საჭირო კომპეტენციებს მსოფლიოში და საბაზო კომპეტენციების მოდელებს საქართველოში. არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, ტექნოლოგიური ცვლილებები, ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტის განვითარება განსხვავებულ მოთხოვნებს აყენებს, რაც თვალსაჩინოს ხდის შესაბამისი უნარების აუცილებლობას და მნიშვნელობას.

მოცემულ კვლევაში გამოყენებულია უკვე არსებული კვლევების საფუძველზე გამოკვეთილი ლიტერატურული წანამდვარები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ამ კომპლექსურ საქმიანობაში ჩვენი კვლევის ადგილი და საჭიროება გამოვკვეთოთ. კვლევის შედეგების საფუძველზე კი იკვეთება შესაძლებლობა გავარკვიოთ ის მსოფლმხედველობრივი წანამდვარები, რომლებიც ახალ ერაში მცირეოდენ გზამკვლევად გამოგვადგება.

უდაოა, განათლება ადამიანის ღირებულებით მსოფლმხედველობისათვის ფუნდამენტურ საყრდენს წარმოადგენს. ერთმნიშვნელოვნად აშკარაა მისი პრაგმატული როლიც ეთნოსის, ერის თუ სახელმწიფოსთვის. ძლიერი ეკონომიკის სახელმწიფოებში ემპირიული კვლევების თანახმადაც დასტურდება კაზუალური კავშირი ორივე - მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეზე განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. დღესდღეობით თანამედროვე განათლების ეკონომიკაში საზომად გამოიყენება მიღწევები კოგნიტური უნარების ტესტებში. ხოლო მიკროეკონომიკის კუთხით განიხილება კავშირი ინდივიდის საგანმანათლებლო მიღწევებსა და განათლების ამონაგებს შორის. სტანდარტული გაგებით, რაც უფრო მაღალია ფორმალური განათლების დონე, მით უფრო მაღალია ინდივიდის შემოსავალი. საერთაშორისო კვლევებით დგინდება, რომ ფორმალურ განათლებაზე დახარჯული ერთი წლის შესაბამისად ინდივიდის შემოსავალი იზრდება 10%-ით. ბოლო წლებში განათლების ამონაგების ოდენობა შემცირებულია ფორმალურ განათლებაზე უფრო მეტი ხელმისაწვდომობის გამო. ამის შედეგად ადგილობრივ შრომის ბაზრებზე კონკურენცია იზრდება და მრავლდება

დაბალშემოსავლიანი სამუშაო ადგილები, რაც, თავის მხრივ, დაბლა წევს განათლების ინდივიდუალურ ფინანსურ ამონაგებს (მარიამ ამაშუკელი, დიანა ლეჟავა, ნინო გუგუშვილი, 2017, გვ. 11).-

ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ჩარჩო დოკუმენტის „განათლება და ტრენინგი 2020“ - ის თანახმად, ბაზისური უნარების განვითარება ხელს უნდა უწყობდეს საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა: **კრეატიულობა, მეწარმეობა, ინიციატივის აღება, ციფრული კომპეტენციები, უცხო ენებში კომპეტენცია, კრიტიკული აზროვნება, ელექტრონული წიგნიერება და მულტიმედიური ცოდნა**. ამ კომპეტენციების მქონე ადამიანური კაპიტალი უკვე ადვილად შეძლებს უპასუხოს სწრაფად განვითარებად ციფრულ და მწვანე ეკონომიკის მოთხოვნებსა თუ კლიმატურ და დემოგრაფიულ ცვლილებებს.

კომპეტენციების შესახებ საქართველოში არსებული სიტუაციის კვლევის საფუძველი სწორედ მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების კვლევები გახდა. ევროპის მრავალმა ქვეყანამ, აშშ-მა და სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა რამდენიმე წლის წინ დაიწყეს მომავლის პროფესიებზე ფიქრი და შესაბამისი კვლევების ჩატარება. მომავლის პროფესიების ჭრილში უმნიშვნელოვანესია საბაზო კომპეტენციების განხილვა, რადგან ტრანსფერული კომპეტენციების გამოყენება მხოლოდ კონკრეტული პროფესიებისა და პოზიციების პერსპექტივიდან ხდება შესაძლებელი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში განისაზღვრა ძირითადი კომპეტენციების ნაკრები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ (Organization for Economic Co-operation and Development, OECD). სამი განზომილება დადგინდა: **ცოდნა, უნარები და პიროვნული თვისებები**.

2018 და 2020 წლებში საკონსულტაციო კომპანია „დელოიტის“ მიერ ჩატარებული ადამიანური კაპიტალის გლობალური ტენდენციების კვლევის საფუძველზე (Deloitte Insights, “The Rise of the Social Enterprise”, 2018 Deloitte Global Human Capital Trends), ნათლად ჩანს, რომ ავტომატიზაციამ და ხელოვნური ინტელექტის უდიდესმა განვითარებამ მსოფლიოში მკვეთრად შეცვალა სამუშაო ძალების მიმართ მოთხოვნები და მათი განაწილება. კვლევაში მონაწილე 42 რესპოდენტთაგან უმრავლესობა მოელის, რომ ხელოვნური ინტელექტი უკვე ძალზე ფართოდ იქნება გამოყენებული ორგანიზაციების მიერ უახლოეს 3-5 წელიწადში. ტექნოლოგიური გიგანტი კომპანიები უდიდეს ინვესტიციებს დებენ ამ სფეროში და პროგრესიც სწრაფად მზარდია. ეს ტენდენცია საბოლოოდ იწვევს სამუშაო სტრუქტურის ცვლილებებს. ტექნოლოგიური

წინსვლა უფრო მეტად განაპირობებს ადამიანების მხრიდან სერვისზე ორიენტირებულ, ინტერპერსონალურ და სოციალურ უნარებს, რომლის გარეშეც რთული იქნება ახალი პროფესიების შესაბამისი შედეგების მიღწევა. დელოიტის კვლევის თანახმად (2018), მომავლის სამუშაო ძალის მთავარი უნარებისა და კომპეტენციების კრებული შემდეგნაირი იქნება:

**ცხრილი N 1**

<b>მომავლის სამუშაო ძალის მთავარი უნარებისა და კომპეტენციები (დელოიტი - 2018)</b>		
ტექნიკური უნარები	პროცესების ანალიზის უნარები	სენსორული შესაძლებლობები
კომპლექსური პრობლემის გადაჭრის უნარები	სოციალური უნარები	ფსიქომოტორული შესაძლებლობები
კოგნიტური შესაძლებლობები	კონტენტის ანალიზის უნარი	ფიზიკური შესაძლებლობები.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ კვლევაც ადასტურებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნარებიდან მომავალ ათწლეულში ისეთი ადამიანური უნარები გახდება გადამწყვეტი, როგორიცაა: **კრიტიკული აზროვნება, შემოქმედობითობა და ადამიანების მართვის უნარები.**

საქართველოს შრომის ბაზარი გამოირჩევა გარვეული თავისებურებებით. ორგანიზაცია „ევროპული ტრენინგის ფონდის“ 2019 წლის ანგარიშის თანახმად, სერიოზული დაბრკოლებები წარმოიშვა საქართველოს შრომის ბაზრის ეფექტური მართვის კუთხით სათანადო საჯარო ინსტიტუტების ნაკლებობის გამო. 2007 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (International organization for Migration, IOM) დაიწყო კვლევა საქართველოში შრომის ბაზარზე უნარების შეუსაბამობის შესახებ. 2010 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მასობრივი უმუშევრობის პირობებში დამსაქმებელთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე ადამიანების აყვანას სამსახურში. უნარების შეუსაბამობა ზოგადად მაშინ იკვეთება, როდესაც მიწოდებული უნარები არ შეესაბამება მოთხოვნად უნარებს. ანუ, როდესაც შრომის ბაზარზე არსებულ ადამიანებს არა აქვთ დამსაქმებლებისთვის საჭირო და მოთხოვნი უნარები (European Training Foundation, 2019). მსგავსი ტენდენცია ქვეყანაში დღემდე გრძელდება - ერთი მხრივ, არის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, მეორე მხრივ კი, რთულია დამსაქმებლების მიერ საჭირო ადამიანური კაპიტალის მოძიება და მათი სამსახურში აყვანა. ეს საკითხი კომპლექსურია და სათანადო შესწავლას მოითხოვს, თუმცა არსებული მონაცემებით, საქართველოს შრომის ბაზარზე არის სხვადასხვა ტიპის გამოწვევები, კერძოდ კი: ქვეყანა თავისი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე ვერ

ახერხებს შრომის ბაზარზე არსებული მუშა ხელის დასაქმებას, ამავე დროს, შრომის ბაზარზე გვყავს ზედმეტი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალა, რომლებიც ფლობენ დიპლომებს, თუმცა მაინც არა აქვთ საჭირო უნარები. საბოლოოდ, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ გამოწვევებით სავსე ეპოქაში აუცილებელი ხდება მომავლის პროფესიების შესახებ სტრატეგიული ხედვის შემუშავება და შესაბამისი კომპეტენციების განვითარების დაგეგმვა.

დავით ჩერქეზიშვილი, თამარ სანიკიძე და პოლ გიბსის მიხედვით (2020), საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, უფრო მოქნილი და ყოველმხრივი ურთიერთობაა საჭირო ბიზნესს, აკადემიასა და მთავრობას შორის. სწორედ ამ თანამშრომლობის აუცილებლობა იკვეთება წინამდებარე კვლევაშიც.

საკვლევი თემის ინტერდისციპლინარულობისა და მონაცემთა სიმწირიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის საშუალებით დადგენილ იქნა კურსდამთავრებულთა და სამივე საფეხურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტების დამოკიდებულება, რამდენად განვითარეს მოთხოვნადი საბაზო კომპეტენციები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პროცესში. ხოლო თვისებრივი კვლევის მეშვეობით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ის მიზეზები, რომელიც ხელს უწყობს (ან უშლის) მოთხოვნილი კომპეტენციებით შრომის ბაზრის უზრუნველყოფას დღეს და მომავლში.


ექსპერტების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა კონკრეტული კრიტერიუმები: ექსპერტთა პროფესიონალიზმი, გამოცდილება და ხელმისაწვდომობა. ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდათ ბიზნესის წარმომადგენლებს, HR ექსპერტებს, განათლების ექსპერტებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მოგროვილი ინფორმაციის საფუძველზე საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრების მოწყობა და პრობლემებზე ფოკუსირება მრგვალი მაგიდის სახით. ჩატარდა ასევე გასაუბრება ორ ფოკუსჯგუფთან. მრგვალ მაგიდასთან მოწვეულები იყვნენ განათლების ექსპერტები, ბიზნესსაოციაციის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ რესპონდენტებმა განსაკუთრებულად საჭირო კომპეტენციად დაასახელეს კრიტიკულად განსჯისა და პრობლემების კომპლექსურად გადაჭრის უნარი და კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

## გრაფიკი 1

### უმაღლესი სასწავლებლებში შეძენილი უნარების ნუსხა



მიუხედავად იმისა, რომ ადაპტაციისა და უწყვეტი განათლების მიღების უნარი დასახელდა, როგორც უნივერსიტეტში განვითარებული უნარები, **სტუდენტები არ თვლიან, რომ ეს უნარები მომავლის კომპეტენციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია.** სტუდენტების პასუხებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის გავლენა ყველაზე მეტად გამოვლინდა **ადაპტაციის, კომუნიკაციისა და უწყვეტი განვითარების უნარების განვითარებაში.** კვლევის საფუძველზე, უმაღლესი სასწავლებლიდან **რესპონდენტები კრიტიკული აზროვნებისა და განსჯის განვითარების უნარს მოითხოვენ.**

კვლევის ძირითადი საკითხების შერჩევისას, მკვლევართა ჯგუფი ძირითადად სამ ოთხ საკვლევ თემას მოვიაზრებდით: განათლება, როგორც ქვეყნის პოლიტიკა; განათლების თემის უწყვეტობა ქართულ კულტურაში; პროფესიონალიზმი და განათლება უმაღლეს სასწავლებელში. შესაბამისად, თვისებრივ კვლევაში აქცენტი გაკეთდა ისეთი **რესპოდენტების შერჩევაზე, რომლებიც მუშაობენ - საკანონმდებლო ორგანოებში; აღმასრულებელ ორგანოებში; არიან დარგის ექსპერტები; საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უმაღლესი სასწავლებლები, საშუალო სკოლები, ტრენინგ - ცენტრები); ბიზნესის სფეროში - ბიზნესმენები (კომპანიის მფლობელი - მმართველები) და ადამიანური რესურსის მართვის მიმართულებით მომუშავე მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტები.**

გარდა ამისა, მივმართეთ საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მომუშავე განათლების თემის საკითხებით დაინტერესებულ ჯგუფს, რათა თვალსაჩინო გახდეს, როგორია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს განათლების პოლიტიკით დაინტერესებული რამდენიმე ადამიანის ხედვა საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკის ირგვლივ, ვეცადეთ ერთ საკვლევ მიმართულებად

გამოგვეყო და შეგვეჩვია ადამიანები, ვინც თავად დაგვთანხმდა ინტერვიუზე (ზოგჯერ საკმაოდ რთული გამოდგა იმ ადამიანებთან დაკავშირება, ვისაც საკანონმდებლო დონეზე ეხება ქვეყნის განათლების პოლიტიკა). რამდენადაც ჩვენი არჩევანი ამჯერად არ გახლდათ შეუზღუდავი, შევხვდით ადამიანებს ვინც მართლაც გულწრფელად არიან დაინტერესებულნი ქართული განათლების სისტემის მოდერნიზებით.

იმისთვის, რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს გარკვეულწილად რა საბაზისო წანამძღვრებს ეყრდნობიან ის ადამიანები, რომლებსაც გარდამავალ ეპოქაში მოუწიათ საგანმანათლებლო სისტემის ადმინისტრირება, ერთ საკვლევ მიმართულებად გამოვყავით სწორედ ეს ე. წ. „სამიზნე ჯგუფი“ .

ერთის მხრივ, ჩვენი არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ ისინი შესანიშნავად ფლობენ იმ სიტუაციას, რომელიც უკვე აქ და ახლა წარმოშობს საგანმანათლებლო პრობლემებს და, სავარაუდოდ, მათი მოუგვარებლობის შემთხვევაში მომავალში უფრო მძიმეს გახდის იმ მოცემულობას, რომელიც პირდაპირი შედეგი იქნება დღეს გადაუჭრელი საკითხებისა. ამ საკითხებზე ინდივიდუალურ დონეზე ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების შემდეგ მეთოდოლოგიურად გამართლებულად მივიჩნიეთ ფოკუს-ჯგუფის ჩატარება, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მკვეთრი თუ ურთიერთშემავსებელი დებულებები მკაფიოდ გამოკვეთილიყო.

კვლევაში აქცენტი დაისვა კომპეტენციების იმ ნიშნულებზე, რომლებიც კომპეტენციების ჩარჩოდ იწოდება და რომლის მიხედვითაც ხდება შეფასება. აღმოჩნდა, რომ 1. კომპეტენციები, რომელიც შერჩეული გვაქვს სოციოლოგიურ კვლევაში, იშვიათად იმეორებს ტრანსკრიპტის მასალებიდან ამოღებული კომპეტენციების ჩამონათვალს; 2. ექსპერტების უმრავლესობა არ ლაპარაკობს იმ უნარებზე, რაც ჩვენ გვაქვს სოციოლოგიურ კვლევაში. სამაგიეროდ, ორი ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს პასუხისმგებლობაზე, რაც არ არის ჩვენი კითხვარის ჩამონათვალში; 3. არც ერთი ექსპერტი არ აკეთებს იდენტიფიცირებას თემებისას: **ა.** მსოფლიოში შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კომპეტენციები **ბ.** საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კომპეტენციები; 4. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულების კომპეტენციები მკვეთრად ვერ იდენტიფიცირდება.

ზემოთმოცემულ ჩამონათვალთან მიმართებაში გამოთქმული სოციალური კვლევისას მიღებული შედეგებისა და ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით უმთავრეს კომპეტენციებად შეგვიძლია მივიჩნიოთ კოგნიტური უნარები: კომუნიკაცია, ინფორმაციის დამუშავება, პრობლემის გადაჭრა, სწავლა, ციფრული



## წიგნიერება.

ინტერპერსონალური უნარებიდან, რომელიც კვლევაში ამგვარადაა ჩაშლილი - გაცნობიერება/ თვითრეფლექცია, შემეცნება, ადაპტურობა, სტრესთან გამკლავება, საკუთარი თავის/სხვების მენეჯმენტი, ორგანიზება, პასუხისმგებლობა, კრეატივი, ინიციატივა, შეფასების და რისკის გაწევა, უპირატესად სულ რამდენიმე უნარს ასახელებენ **1. ადაპტაციის უნარი; 2. პასუხისმგებლობა; 3. ორგანიზებულობა; 4. კრეატიულობა.** (დალაგებულია თემაზე აქცენტირების სიხშირის პრინციპით)

აქვე ვიტყვით, რომ აქცენტირების სიხშირის მიხედვით ძირითად უნარებად უპირობოდ **ციფრული წიგნიერება და ინგლისური ენის ცოდნა მიიჩნევა.** ეს გახლავთ ერთადერთი თემა, რომლის მიმართ ყველა რესპოდენტს ჰქონდა გამოთქმული მოსაზრება. შესაბამისად, **ტექნიკური უნარები** დღეს საგანმანათლებლო სისტემის მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევა. თუმცა ძალზე იშვიათია სასწავლო პროგრამებში ტექნიკური უნარების განვითარებაზე არსებული თეორიული მასალა თუ პრაქტიკული მეცადინეობები (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება იმ საბაკალავრო პროგრამებს, რომლებიც ტექნიკურ სწავლებებზეა ორიენტირებული).

კვლევაში ჩართული მხარეების, მონაწილეების ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ *საგანმანათლებლო პროცესის მთავარი აქტორები კოორდინირებულად არ მუშაობენ და არ უზიარებენ ერთმანეთს არსებულ საჭიროებებს. ხშირ შემთხვევაში თავადაც უჭირთ კონკრეტული უნარების აუცილებლობის შესახებ საუბარი ან დასაბუთება.* შესაბამისად, ეს ქაოტური ინფორმაცია ვერ ჰპოვებს ასახვას უმაღლესი სასწავლებლების მიდგომებსა და პროგრამებზე.

რაოდენობრივ კვლევაში ჩართული გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა თვლის, რომ მთავარი უნარები უნდა იყოს კრიტიკულად განსჯისა და პრობლემების კომპლექსურად გადაჭრის უნარი, ასევე კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარი, მაშინ როცა **განათლების ექსპერტები** თვლიან რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფერული - ადაპტაციისა და კომუნიკაციის უნარებია, ხოლო **ფოკუს ჯგუფში მონაწილე** მხარეები უპირატესობას *ემოციურ ინტელექტს, ემპათიასა და გუნდური მუშაობის უნარებს* ანიჭებენ. **ბიზნესი** საუბრობს *ციფრული უნარების მნიშვნელობაზე, ინგლისური ენის ფლობასა და პასუხისმგებლობაზე.* (ერთი ექსპერტის შემთხვევაში აქცენტი დაისვა რიტორიკის ხელოვნებაზე).

როდესაც ხვალინდელი სახელმწიფოს ადამიანური კაპიტალის აღწერას ვიწყებთ, ვფიქრობთ, უმნიშვნელოვანესია ვიცოდეთ ის მსოფლმხედველობრივი საყრდენები,



რომლითაც მომავლის საქმიანობები იგება ნებისმიერ ქვეყანაში. ესენია **ზოგადი უნარები**: შემოქმედებითობა (კრეატიულობა), მეწარმეობა, კრიტიკული აზროვნება, ინიციატივის აღება, ციფრული კომპეტენციები, უცხო ენებში კომპეტენცია, ელექტრონული წიგნიერება და მულტიმედიური ცოდნა. **პიროვნული თვისებები**: პასუხისმგებლობა, ემოციური ინტელექტი, ნებისმიერი კომუნიკაციისას ეტიკეტის ფარგლებში დარჩენა, ნდობის უნარი, ტოლერანტობა, თვითშემეცნებაზე ორიენტირებულობა, საკუთარი ემოციების მართვა, თვითმოტივაცია, თავდაჯერებულობა, სანდოობა, სინდისიერება.

ამ კომპეტენციების მქონე ადამიანური კაპიტალი უკვე ადვილად შეძლებს უპასუხოს სწრაფად განვითარებად ციფრულ და მწვანე ეკონომიკის მოთხოვნებსა თუ კლიმატურ და დემოგრაფიულ ცვლილებებს. **პროფესიული ცოდნა, უნარები და პერსონალური თვისებები** არის განმსაზღვრელი ადამიანური შემოქმედებითი კაპიტალისა, რომელიც შესაბამისი წვრთნის პირობებში **გაგვიყვანს ბიზნესისთვის საჭირო ადამიანურ კაპიტალზე**, რომლის შესაძლებლობები შესაძლოა ამგვარად აღიწეროს: ტექნიკური უნარები; კომპლექსური პრობლემის გადაჭრის უნარები; კოგნიტური შესაძლებლობები; პროცესების ანალიზის უნარები; სოციალური და კომუნიკაციის უნარები; კონტენტის ანალიზის უნარი; სენსორული შესაძლებლობები; ფსიქომოტორული შესაძლებლობები; ფიზიკური შესაძლებლობები.

თუ ამ ყველაფერს კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და საკუთარი თავისა თუ ადამიანების მართვის უნარებს დავამატებთ, ეს იქნება **სრულყოფილი რესურსი, რომ ქვეყნის ეკონომიკა და მისგან მიღებული სარგებელი არა მცირე სოციალურ ჯგუფზე, არამედ მთელ სოციალურ სისტემაზე მაღლიანად აისახოს და გადანაწილდეს.**

დიდი კრიზისის ეპოქაში, როცა განვითარებული ქვეყნების ბიზნესებსაც უჭირთ გადაწყობა ახალ რეჟიმზე, ჩვენი ტიპის სახელმწიფოში უფრო გაუჭირდებათ ბიზნესებს და ამიტომ ადამიანის **ტრანსფერული უნარები იქნება ის ძირითადი საყრდენი, რომელსაც ბიზნესის ადამიანური რესურსი დაეყრდნობა.**

მნიშვნელოვნად გვესახება **მოქნილობა სახელმწიფოს მხრიდან უმაღლეს სასწავლებელში. სწავლა-სწავლება შემოქმედებითი პროცესია და ადმინისტრაცია, განათლების სამინისტრო თუ ხარისხის მართვის სამსახური მხოლოდ უნდა ეხმარებოდეს პროფესორ-სტუდენტის ურთიერთობას და არა ხისტი სტანდარტებითა და მენეჯმენტით მართავდეს მათ საქმიანობას.**

კვლევითი სამუშაო თითქმის დასრულებული გვექონდა და ვსაუბრობდით პანდემის შედეგებით შეცვლილ მსოფლიოსა და ახალ ბიზნეს საჭიროებებზე, რომ ბიზნესისთვის

თუ მთლიანად სახელმწიფოებისთვის პლანეტაზე ახალმა უმძიმესმა მოცემულობამ იჩინა თავი - ომმა - რუსული სახელმწიფოს აგრესიამ უკრაინის ტერიტორიაზე და მუქარამ აღმოსავლეთ ევროპისა თუ სხვა ქვეყნებზე. უკრაინიდან ლტოლვილთა რიცხვი რამდენიმე მილიონს აღწევს და არ ვიცით, ეს რიცხვი რომელ ქვეყანაში როგორ გაიზრდება. გარდა ომისა, იძულებითი მიგრაცია კიდევ ახალი თავსატეხია მსოფლიო წესრიგისათვის და მათ რიცხვში ბიზნესისათვის სრულიად ახალი მოცემულობაა, რომელსაც თვალის გასწორება და ადაპტირება ჭირდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თანამედროვე სწრაფად ცვლადი სამყარო, ტექნოლოგიური განვითარების მაღალი ტემპი, VUCA სამყაროსთვის დამახასიათებელ განსხვავებული წესებითა და კანონებით ცხოვრებას აიძულებს მსოფლიოს. დრო არასდროს ყოფილა ისეთი აჩქარებული და დაფასებული, როგორც დღეს - „სისწრაფე ბიზნესის ახალი ვალუტა“<sup>68</sup> და თუ ორგანიზაცია ვერ ახერხებს გარე და შიდა ტემპს შორის წონასწორობის დაცვას, პრობლემები გარდუვალი იქნება.

სწრაფად ძველდება ცოდნა, მეთოდები, იცვლება ტენდენციები. ეს ეხება ნებისმიერ სფეროს - ინდუსტრიას, საჯარო თუ კერძო სექტორს. ტექნოლოგიების განვითარება სწრაფ ქმედებას, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას, სწრაფ ადაპტაციას, მრავალფუნქციურობას, მრავალუნარიანობასა და მოქნილობას მოითხოვს.

მსოფლიოში უკვე დიდი ხანია გაზრდილია ტალანტებზე, განსაკუთრებული პოტენციალის (HiPO) მქონე პროფესიონალებზე მოთხოვნა. ბუნებრივიცაა, ციფრულ ერაში საქმიანობის წარმართვა ცოდნის სწრაფად ათვისების გარდა, იმ (და კიდევ სხვა) უნარებსაც მოითხოვს რომელიც ზემოთ იყო ხსენებული და რომლის დეფიციტსაც მუდმივად განიცდიან ორგანიზაციები. არსებული სიტუაციის განმსაზღვრელი შესაძლოა მრავალი ფაქტორი იყოს, თუმცა საინტერესოა ისეთები, როგორიცაა, თაობათა და ღირებულებების ცვლა, კოვიდ 19 პანდემიის დროის ყველაზე გახმაურებული და მტკივნეული მოვლენა - „დიდი გადადგომა“ („Great Resignation“), ქვეყანაში არსებული განათლების სისტემის მახასიათებლები, ინდუსტრიის, დარგის თავისებურებები, ერის, ორგანიზაციის კულტურა და სხვა.

ზემოთ დასახელებული მიზეზთაგან, შრომის საერთაშორისო ბაზარზე, სერიოზულ გავლენას თაობათა ცვლა ახდენს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს Y თაობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა შრომის ბაზარზე, შეცვალა მოთამაშეთა როლები და

---

<sup>68</sup>Salesforce-ის აღმასრულებელი დირექტორი მარკ ბენიოფი)(Salesforce's CEO Marc Benioff)

მართვის ბერკეტები ჩამოართვა დამსაქმებელს, რომელიც მანამდე მთავარი აქტორი იყო შრომის ბაზრის სამ მოთამაშეს შორის (დამსაქმებელი, სამუშაოს მაძიებელი, სახელმწიფო). Y თაობა, რომელიც დღევანდელ შრომის ბაზარზე დაახლოებით 75 % - ს წარმოადგენს, თავად კარნახობს დამსაქმებელს პირობებს და მათი არასრულყოფილი შესრულება, მცირედი აცდენაც კი, სამუშაოს დატოვების მიზეზი შეიძლება გახდეს.

ტალანტების მოზიდვისა და შენარჩუნების სირთულეები, კოვიდ 19 პანდემიის დროს „დიდი გადაგომის“ სახელით ცნობილმა მოვლენამ და შრომის ბაზარზე Z თაობის გამოჩენამ კიდევ უფრო გაამძაფრა და საკმაოდ დიდი დაბნეულობა გამოიწვია დამსაქმებლებს შორის. ეს არის თაობა, რომელმაც გაამყარა სამუშაოს მაძიებელთა პოზიციები, ისინი დამსაქმებლებისთვის კიდევ ერთი დიდი თავსატეხი აღმოჩნდა. „ბები ბუმერების“ და X თაობის სამუშაოსადმი დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდება Y და Z თაობის წარმომადგენლებისგან. ამ უკანასკნელთა ღირებულებები არ წარმოადგენს სამუშაოსადმი ისეთ მიჯაჭვულობას, რაც წინა თაობებს ქონდათ. ორგანიზაციებიდან თანამშრომელთა ასეთი მასშტაბით გადინების საპასუხოდ კომპანიები ცდილობდნენ ხელფასების გაზრდას, უკეთესი შეღავათების (ბენეფიტების) შეთავაზებას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ა.შ., მაგრამ შედეგი არ აღმოჩნდა ეფექტური და ეფექტიანი. კომპანიებიდან თანამშრომელთა გადინება ისევ პრობლემად რჩებოდა. თუმცა, ორგანიზაციებში, უახლოესი წარსულში დაფიქსირებული, სამუშაო ადგილების ცვლილებები არ არის დაკავშირებული „დიდ გადაგომასთან“ ის ადრეც, კოვიდ-19 პანდემიამდეც ფიქსირდებოდა. უფრო საინტერესო და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები ორგანიზაციების „დინამიური გუნდებისკენ“ სვლას უკავშირდება.<sup>69</sup>

დინამიური გუნდები გარკვეულწილად საკმაოდ ინოვაციური და ეფექტიანი დაჯგუფებებია ორგანიზაციის შიგნით, ისინი ქმნიან მნიშვნელოვან გაერთიანებებს, ახდენენ საკმაოდ გრძელვადიან ეფექტს და გავლენას აფიქსირებენ. თუმცა, ეს გუნდები და მათი ფასეულობები უხილავია და შეუმჩნეველი ხდება.<sup>70</sup>

ზემოთ დასახელებულ გამოწვევებს, ასევე ემატება გლობალიზაციასთან დაკავშირებული სირთულეები-ტალანტების „გადაბირება“ გეოგრაფიულ - ტერიტორიული საზღვრების არ არსებობა, დემოგრაფიული პრობლემები და ა.შ.

---

<sup>69</sup>Tom Bennett - FORBES, Feb 23, 2022

<sup>70</sup>Amy Wilson - Dynamic Teams Will Power the Future of Work October 13, 2021

როგორც ვხედავთ, ამ რთულ ვითარებაში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსფერულ უნარებს, ადაპტაციის უნარს, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა როლებს შორის ცვლილებების მართებულად გააზრებას და, რაც მთავარია, სახელმწიფოს როლს ქვეყნის განვითარებისათვის. აშკარაა, რომ ცალკეული კონკრეტული კომპანიის, ორგანიზაციის თანმშრომელთა კომპეტენციებზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება, ხოლო კომპეტენციები კი განათლების სისტემის ხარისხზე.

რეკომენდაციის სახით, დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ ამ და სხვა მსგავს თემაზე დაფუძნებული კვლევების შედეგად გამოკვეთონ მნიშვნელოვანი ტრანსფერული უნარები, რომლის განვითარების გეგმა ინტეგრირებული იქნება უნივერსიტეტში შესწავლილ ყველა საგანთან, ხოლო კურსის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტს უნდა ქონდეს კრიტერიუმები, რომლითაც შეძლოს ამ უნარების შეფასება. ამ პოლიტიკით სრულად გამოჩნდება უნარების უდიდესი როლი ადამიანის პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში. ასევე, შესაძლებელი იქნება, შრომის ბაზრისა და ბიზნესის მოთხოვნების ცვალებადობის პროცესში უმაღლესი სასწავლებელი იყოს მეტად მოქნილი სიახლეების მიმართ და, ამავე დროს, აკმაყოფილებლდეს ბაზრის საჭიროებებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბლიაძე, მ. (2021), „რა ელის მსოფლიო განათლებას COVID-19-ის პანდემიის შემდეგ?“ ხელმისაწვდომია <https://edu.aris.ge/news/ra-elis-msoflio-ganatilebas-covid-19-is-pandemiis-shemdeg.html> (accessed 5 December 2021)
- დოლიძე, თ. (2018), „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების სირთულეები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, Vol. 6
- მარიამ ამაშუკელი, დიანა ლეჟავა, ნინო გუგუშვილი, (2017) „განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში“
- პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი. (2017 ), „2016 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში“ ხელმისაწვდომია [https://mes.gov.ge/uploads/files/2016-\(Tracer%20Study\).pdf](https://mes.gov.ge/uploads/files/2016-(Tracer%20Study).pdf) (accessed 7 October 2021)
- Bakhshi, H. Downing, J. Osbrne, M. and Shneider, P. (2017) “*The Future of Skills: Employment in 2030*”. London: Pearson and Nesta
- Börner, K. *et al.* “Skills Descrepancies between Research, Education, and Jobs Reveal the Critical Need to Supply Soft Skills for the Data Economy, available at [www.pnas.org https://doi.org/10.1073/pnas.1804247115](https://doi.org/10.1073/pnas.1804247115) (accessed 5 November 2021).
- CIPD (2016), „Alternative Pathways into the Labour Market“, Policy Report
- Cherkezishvili, D. Sanikidze, T. Gibbs, P. (2020), “Modern Challenges: The Socio-Political

- Issues of Introducing Professional and Practice in Doctoral Education in the Emerging Economy of Georgia”, *Quality in Higher Education*, Vol. 26 p.98-113
- 2022 Deloitte CxO Sustainability Report, (2020), “The Best Job Skills For The Future Are Inherently Human”, available at <https://www.forbes.com/sites/deloitte/2020/01/24/the-best-job-skills-for-the-future-are-inherently-human/?sh=7ce2b9d861c6> (accessed 12 January 2022)
- Deloitte. (2021), “The Future of Higher Education” – available at <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/pt/Documents/restart-center-for-business/Paper%20educa%0c3%a7%0c3%a3o%202021.pdf> (accessed 25 January 2022).
- Deloitte Special Report, (2021), “2021 Global Human Capital Trends” available at <https://www2.deloitte.com/us/en/insights/focus/human-capital-trends.html?id=us:2el:3dc:4di7302:5awa::MMDDYY:&pkid=1007732> (accessed 20 January 2022).
- Deloitte Report. (2021), “The Future of Higher Education” available at <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/pt/Documents/restart-center-for-business/Paper%20educa%0c3%a7%0c3%a3o%202021.pdf> (accessed 15 January 2022).
- Deloitte Report. (2021), “Building the future-ready workforce” available at <https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/ca/Documents/consulting/ca-future-ready-workforce-en-aoda.pdf> (accessed 23 December 2021).
- Deloitte (2018), “The Rise of the Social Enterprise”, *Global Human Capital Trends*
- Deloitte Report. (2017), “What Key Competencies Are Needed in the Digital Age?” available at <https://www2.deloitte.com/ch/en/pages/innovation/articles/competencies-in-the-digital-age.html> (accessed 8 April 2021).
- Dusi, P. Messetti, G. Steinbach, M. (2014). “Skills, Attitudes, Relational Abilities & Reflexivity: Competences for a Multicultural Society”, *Procedia - Social and Behavioral Sciences*, Vol. 112 p.538-547
- Eaton, K. and Mallon, D. (2021), “The Worker-employer Relationship Disrupted”, Deloitte Insights, available at <https://www2.deloitte.com/us/en/insights/focus/human-capital-trends/2021/the-evolving-employer-employee-relationship.html> (accessed 3 December 2021).
- “Keynote: The World of Work Has Changed: What’s Next?” (2021), Talent Canada, Driving People through Investment – [KEYNOTE: The world of work has changed. What’s next? - Talent Canada](#)
- Kofler, I. Innerhofer, E. Marcher, A. Gruber, M. Pechlaner, H. (2020), “The Future of High-Skilled Workers: Regional Problems and Global Challenges”, Cham, Switzerland: [Springer Verlag](#).
- Lewis, A. (2021), “5 Key Human Skills to Thrive in the Future Digital”, Harvard Business Publishing, available at <https://www.harvardbusiness.org/5-key-human-n-skills-to-thrive-in-the-future-digital-workplace/> (accessed 20 November 2021).
- Mallon, D. (2021), “Predictions 2021: Skills Graph” available at <https://www2.deloitte.com/us/en/blog/human-capital-blog/2021/predictions-skillsgraph.html> (accessed 25 November 2021).
- Mankins, M. Garton, E. and Schwartz D. (2021), “Future-Proofing Your Organization” Harvard Business Review, available at <https://hbr.org/2021/09/future-proofing-your-organization> (accessed 23 November 2021).
- Moueddene, K. *et al.* (2019), “Expected Skills Needs for the Future of Work”, available at

- <https://www2.deloitte.com/be/en/pages/public-sector/articles/upskilling-the-workforce-in-european-union-for-the-future-of-work.html> (accessed 12 April 2021).
- Powell, W. W, Snellman, K (2004). "The Knowledge Economy". *Annual Review of Sociology*. **30** (1): 199–220. [doi:10.1146/annurev.soc.29.010202.100037](https://doi.org/10.1146/annurev.soc.29.010202.100037)
- Radwan, I. Pell egrini, G. (2010) "[Singapore's Transition to the Knowledge Economy: From Efficiency to Innovation](#)". Knowledge, Productivity, and Innovation in Nigeria: Creating a New Economy. Washington, DC: The World Bank.
- Seattle Office of Economic Development (2020), "Covid 19 and the Future of Work", Report Smith, K (2002). "[What is the 'Knowledge Economy'? Knowledge Intensity and Distributed Knowledge Bases](#)" (PDF). *Discussion Papers from United Nations University, Institute for New Technologies, No. 6*.
- Unger, R. M. (2019), *The Knowledge Economy*, London
- Wolinsky, J. (2021), "Four Potential Futures for the Worker-employer Relationship" available at <https://ceoworld.biz/2021/07/29/the-four-potential-futures-of-worker-employer-relationship-after-covid/> (accessed 10 December 2021).
- World, Bank. Building Knowledge Economies: Advanced Strategies for Development. World Bank Publications. 2007
- 3.1 Циклы развития человеческого капитала как драйверы инновационных волн – [https://econ.bobrodobro.ru/29165#google\\_vignette](https://econ.bobrodobro.ru/29165#google_vignette)
- Корчагин Ю.А. Циклы развития человеческого капитала как драйверы инновационных волн. – Воронеж: ЦИРЭ, 2010

## **The HR Management of Tourism Companies During the COVID Pandemic**

**Otar Japaridze**

PHD student

*East European University*

### **Abstract**

COVID-19 has been one of the biggest challenges of the modern world. The pandemic has adversely affected many industries throughout the world. Probably tourism is a field that has suffered the most, as the virus has restricted international and local travels. This, in turn, hinders the development of tourism industry.

Like in many countries, tourism industry has suffered the significant loss of profit in Georgia. This has affected the lifestyle of people involved in tourism business in a way that they were forced to seek careers in other – more profitable fields.

The migration of professionals out of the industry is a huge challenge for tourism development and its post-pandemic rehabilitation, as much of its success depends on the professionalism of people involved in the field. Especially important is the proficiency of tour

guides and tour managers, due to theoretical knowledge and the years of experience they have acquired throughout their careers.

The goal of this study is to identify the actions the people involved in tourism business had to take in order to save the business and keep their employees during the pandemic. The study also highlights the essential factors for the quick recovery and steady development of tourism.

**Keywords:** *Tourism business, HR and tourism*

## **The HR Management of Tourism Companies during the COVID Pandemic**

**Otar Japaridze**

PHD student

*East European University*

### **Introduction**

Despite the pleasingness and desirability of travel process, moving in the unfamiliar medium includes some risks of different types, the more so, when we deal with such a global problem as the pandemic is, which spread is reasoned, among other factors, by open borders and endless travels on the global scale, in other words by tourism.

In the end of 2019, COVID-19 virus rapidly covered the whole world exactly due to free traveling. It happened so fast that the world advanced countries have failed to response in

due time and the pandemic virtually stopped the entire world.<sup>71</sup>

The tourism sector took a big hit due to COVID-19 effect. According to the World Travel and Tourism Council (WTTC) assessment, the economic impact of pandemic turned out to be very heavy for many countries that caused drastic fall of GDP, and tourism stopping played an important role in this slump.<sup>72</sup>

Georgia is closely intertwined with international phenomena, and pandemic-related restrictions concerned to the maximum the tourism area of Georgia: many hotels have become deserted and virtually closed, huge numbers of people employed in the tourism sector were left without livelihood. Pandemic affected in all activities related to tourism – based on government regulations, restrictions covered hotel and restaurant service, domestic tourism, trading facilities and fairs, many cultural events were cancelled.

As a result, companies left without incomes and functions, were no more able to financially back-up and frequently at least retain the maintenance personnel employed by them. In its turn, professionals who involuntarily have lost their livelihood were forced to left the tourism and service industry and to migrate to the other, more persistent and flourishing industries to that moment.<sup>73</sup>

The relevance of the present topic has been caused namely by the circumstance that retention of professionals employed in the touristic industry and their motivation to stay in the business is very urgent problem/issue.

Empiric research conducted within the work serves the path searching of possible settlement of the mentioned problem and development of recommendations in order to avoid the artificial putting on hold the touristic industry in post-pandemic period caused by the absence of relevant personnel.

### **Explanation of basic notions**

**Domestic tourism** – tourist service rendered to the citizens of Georgia within a country (domestically).

**Tourist image of Georgia** – external image of Georgia related to travel attractiveness created at the international arena.

---

<sup>71</sup> Otar Japaridze, Mari Bandzeladze – “Mountain Tourism Problems and Development Prospects in Georgia” – Journal Ganatleba – Quarterly peer-reviewed and refereed journal of the Georgian Technical University 1(32)2021.

<sup>72</sup> UNWTO and COVID-19 <https://www.unwto.org/international-tourism-and-covid-19>

<sup>73</sup> Naciye Güliz Uğur and Adem Akbıyık – Impacts of COVID-19 on global tourism industry: A cross-regional comparison – Management Information Systems Department, Sakaria University, Sakaria, Turkey.



**Guide** – “guide” is a French-origin word and denotes road sign (direction sign). He/she is a person accompanying tourists, who familiarizes them with sights of towns or countries, or secures their safety under mountain conditions.

**Tour manager** – a person responsible for touristic product creation, sale and management.

**Human resource (HR) management** – human resources management process.

## **Basic part**

### **a. Problem under study**

The problem under study is an issue of potential drain of professional personnel from the tourism sector in both pandemic and post-pandemic periods.

The mentioned problem is urgent as far as the drain of professional staff previously employed in the tourism sector and left without incomes during pandemic period under conditions of tourism putting on hold due to pandemic – really put in the agenda.

Problem caused by the personnel drain will certainly become apparent in the post-pandemic period and will reduce financially desirable touristic flows distinguished by high paying capacity, therefore will do a damage to the tourist image of the country.

So, the problem raised by the study is relevant, taking into account at first its clear identification and furthermore, the necessity of path finding for its possible solution/prevention.

### **b. Research goal**

The research goal is as follows: what ways have been used by successful tourism companies for retention of professional staff and for their proper motivation during pandemic; what a way out they see in order to retain professional personnel and to left them in the tourism sphere with the view to not to being forced to reduce service standards due to insufficient human resources.

### **c. Research hypotheses**

1. Due to crisis caused by the pandemic, professionals employed in the tourism sphere, who have lost their livelihood have started to migrate from the sector and to look for jobs in other, more persistent industries; this circumstance respectively will reason a deficit of professionals engaged in the tourism sphere and will make the problem of service quality in the post-pandemic period even more aggravate.

2. Tourism companies with the purpose of retention of professional staff (guides, tour managers) have started to replan preplanned tours for the subsequent years by the same prices

in such a way as to not to cause problems for customers. This way they could retain own personnel with the opportunity of simple integration in the tourism sphere during post-pandemic period.

1. Tourism companies, trying to retain personnel and the own business, have refocused the area of activity on the domestic tourism, emphasizing the opportunities of recreation in the bosom of nature, in the clean air, with less contacts and full compliance with hygienic standards.

### **III. Research methods and target groups**

Based on the research goal, since we have had no need to generalize data and show the percentage distribution, and taking into account both substantial and quantitative features of the target segment of research (tour managers, local guides and tourism companies) – **the method of qualitative study**, namely **in-depth interview** has been defined for acquisition of initial information.

As we have already mentioned, a target segment is presented by tourism companies, tour managers and local guides – those parties, which are directly concerned with the situation existing in the matter under study and which played an important role in resolution and prevention of the given problem.

Respectively, the executive managers and/or HR managers (persons responsible for personnel policy) of 5 local large tourism company, 8 local acting guides and 7 tour managers have been interrogated according to the in-depth interview format, who were directly concerned with the problem caused by the pandemic crisis and described by me.

### **IV. Analytical calculation of the research**

***First research task was the determination of the ways used by the tourism companies after stopping the touristic traveling in order to rescue their own business and retain employed professional personnel (what are the best practices of this problem solving).***

Borders closure due to pandemic did a severe damage to the tourism companies, especially to travel agencies, since the income gained namely from tourists has been the lone and main source of revenue for these organizations.

That's why incomes deprivation became the uppermost and almost unsolved problem for tourism companies that in its turn lead to numerous companion problems, among which the problem of retention of human resources, which have been employed in this sector, was ranked foremost.

Stoppage of tourist travels has left the tourism business representatives (local guides and tour-managers, which professional activity was directly related to profit gained from tourists, are numbered among them) without incomes.

Tourism companies have faced not only the loss of professional employees, but the risk of disappear from this business, since almost each of them has had bank indebtedness or other type of financial liability, fulfillment of which became impossible after loss of sustenance.

The problem was aggravated by the fact that major part of tours was sold beforehand and tours were preliminary planned by tourism companies, as well as independent guides, therefore they have faced the matter of return of financial obligations incurred to already existing customers, that was not easy, since a great deal of incomes gained from tours sold in advance was already consumed for tours preparation and preliminary expenditures. A breach of obligations to partners (tourists), in its turn, did a damage to the image of Georgian tourism companies and, in the long run, posed a threat to their stay in the business.

At that, the issue of business salvation and remuneration of professional personnel in some way was on the agenda, that could generate hopes for their retention in the tourism sphere and/or their return in the post-pandemic period.

That's why tourism companies have started to quickly think out how to maintain more or less stability – to preserve their image in front of partners, to keep collaboration with professional guides and tour managers, as well as to create at least small, but stable regular income, that enabled them to go through a crisis caused by tourist flows closure due to pandemic.

Tourism companies have found the following path and have scheduled the following plans for the near future:

- first of all, they started to resale already existing and sold tours, i.e. to reschedule them for the next (safe) year for same and even lower price and highlevel of service, in order to avoid the necessity of paying back the money already taken;
- next, they introduce so-called “tour vouchers” (as interviews showed, this experience has been adopted from foreign tourism companies) – in case of voucher purchase for some years to come, they offered very preferential prices and number of additional services, for which tourist had to pay money under normal conditions. This scheme has been included almost all sectors of tourism industry: restaurant business, hotel chains, owners of separate tourist infrastructures, guides or local small and individual entrepreneurs, which

were also very pleased with presale of their services, even at preferential prices, and thereby with getting some financial accommodation or promises for the future. This measure set a goal of at least small strengthening of financial condition of the company itself, on one hand, and retention of guides, tour managers and tour-related other professional personnel, and/or their return back to the tourism sphere in the post-covid period, on the second;

- and finally – tourism companies addressed their activity to the domestic tours and prepared travel packages for citizens of Georgia – for low, average and high price segments, in order to enable the population sick and tired of pandemic and border closure to travel at least within the country, within the budget approachable for them. Of course, this project was not so highly-profitable, like travel packages sold to outbound tourists, but gave some privileges to tourism companies and separate structures engaged in tour services, which remained without any incomes and functionless.

***Second research goal was the determination of the following – does the tourism sector face the threat of professional personnel drain from the sphere and do they see a problem in this fact today, when touristic travels restoration has already begun.***

In the post-pandemic period, in regard to tourist seasons restoration, the tourism companies assume that tourist flow reduction will increase competition that in the long run will indispensably have an impact on quality increase, though for this end it will be necessary to conduct a variety of trainings and retraining programs in order to improve the service to the maximum, that naturally requires government support and even financial appropriations.

It is noteworthy the opinion of guides and tour managers, substantial part of which waits with fear for the completion of pandemic background and has ambiguous expectations regarding post-pandemic situation, in particular: part of them supposes that the restoration of tourist flows after pandemic will reveal the problem of insufficient number of guides, as far as we mentioned before, the most of them are already employed in other spheres, so the tourism sector becomes unable to properly meet the requirements of the tourist market. This circumstance will cause service quality deterioration that in the long run leads to tourists dissatisfaction. So, this part of guides thinks that the tourism sector will be forced to create the image and earn confidence anew that certainly will hinder the tourism sector development.

Though there is a second, radically different opinion, according to which, the reduced tourist flow will create strong competition among guides after pandemic and thereby not the loss but on the contrary improvement of service quality, while quality increase in its turn will

cause image restoration and further development of the sphere.

As for today, despite the fact that tourism has been still unable to return to its groove and its turnover is substantially less compared to pre-pandemic background, tourism companies already face the shortage of highly-qualified guides and tour managers, since, as it was anticipated, part of them has been relocated to other spheres, while those who remain in business, either complains about lack of qualification (that was a problematic issue anyway), or faces serious demand for such professional guides and their price is prohibitive for companies, the more so that the post-pandemic tourism is calculated for expectations of low prices by tourists and they are not ready to pay substantial prices even to professional guides.

Here we have to note the efficiency of presales of so-called “tour vouchers”, as well, since such tours scheduled beforehand, are no more a subject to price change and tourism companies simply and at preferential prices contact professional guides, with whom they came to agreement several years ago, the more so that their advance agreement with the guide was a precondition of future prospects.

**According to the third research goal, we have to establish, what is a way-out in opinion of tourism industry representatives, in order to not to let professional personnel migrate from the sphere and to avoid service quality loss due to this fact in the post-pandemic period.** \_

In this regard worth noticing the circumstance, that tourism companies, as well as separate guides and tour managements, unanimously mentioned the very important role that government should play in complete restoration of the sphere and in retention of professional personnel in business. The government has to pursue correct policy both in marketing direction and regarding the regulations taken towards parties involved in the tourism business. The latter is especially difficult based to the fact that these regulations have to provide human safety and have to secure uninterrupted operation of businesses as well that is almost impossible under conditions of regulations acting today.

When the sector has several billion debt, it is so difficult to return back to the old level of development; based on this, the necessity of establishment of tax privileges, as well as need for grant programs initiation and foreign investment promotion have been emphasized.

When speaking about development plans, tourism representatives also touch upon the necessity of active pursuit of marketing activity and need for clear choice of target markets, and they suppose that in the post-pandemic period is especially important to capture a premium (highly financially reliable) segment and thereby to compensate reduced volume of

tourist flows.

For these purposes, certification and retraining of personnel is essential in their opinion the more so that the risks of professional staff drain is still topical. If the tourism sector is not replenished with new professional personnel, this will have an impact on the quality of service, that in its turn will complicate the development of tourism sector in the post-COVID situation.

## **Conclusion**

As a conclusion we can speak about research hypothesis checking and say that:

The first assumption has been **completely confirmed**, since travel agencies already mentioned enough the shortage of local professional guides in the tourism industry, which was even more aggravated by the fact that they left without job and livelihood due to tourist flow stoppage during pandemic, which, in its turn, caused their drain from tourism business to other industries. As for today, a major part of guides relocated from this sphere keep themselves from leaving the other jobs already found, since they have no hope of stability in tourism and afraid to left without incomes again. All this naturally induces the deficit of professionals and, therefore, generates the prospects of tourist's service quality loss. Though, it should not go unnoticed that professional guides don't mind to turn back to the sphere, however they wait for return of the more favorable and less risky period.

The second assumption **has not been confirmed**, since tours replan for subsequent years at the same prices turned out to be not enough for finding sufficient resources for retention of employees. Nevertheless, the mentioned measures carry out by tourism companies, really have had an effect on maintenance of companies' image and their stay at the market.

On the other hand, the third assumption has **justified itself**, since tourism companies, in order to retain the personnel and to save at that their own business, truly refocused their area of activity to the domestic tours throughout Georgia, emphasizing the opportunity of rest in the bosom of nature, in the clean air, with less contacts and full compliance with hygienic standards. Though, due to less profitability of the mentioned project, they were unable to completely retain professional personnel and couldn't eliminate their drain from the sphere, however, it gave some privileges to guides employed in the sphere.

## **Recommendations**

Parties involved in the tourism sphere development have to support this business line and to carry out those measure, which will promote uninterrupted **tourist travels** within the country and their service, in order to not to let the sector to lose the professional personnel and thereby not to magnify the damage of the paused tourism industry even more.

For these purposes, it is necessary to:

- put in the agenda the issue of highly-qualified training and retraining of parties involved in the tourism business, especially representatives of service-delivering structures – maintenance personnel and guides operating both on a centralized basis and at local regional market, in order to maintain their high qualification;
- schedule proper positioning of the country and implement marketing activities, in the course of which tourists' profiles and respectively their specific interests, by means of offers will be taken into account that in its turn will provide attraction of a new tourist segment, very desirable for us and, at the same time, preservation and maintenance of already available image;
- to make tourists sure of their health and plans safety that can be secured by insurance of their future travels and possibility of changing travel dates and directions without paying differential cost. The mentioned reform will assists tourists to schedule their travels more courageously that in the long run will provide tourists mobility and continuity of their flows;
- the government has to take steps for rescue the sector that should be expressed in tax concessions for all businesses allied to the tourism sector.

What is the most important, solution of problems identified and taking recommendations into account requires an integrated approach on the part of government, private businesses, local travel agencies, guides, population and tourists, on one hand the government has to be legislatively and financelly ready to settle the problems important for tourism development and, on the other, the rest parties interested in the tourism sphere should be ready to adopt and implement those necessary changes or initiatives, which will promote a newly resurgence of the tourism in Georgia.

## References

**1. Article from printed journal:**

Otar Japaridze, Mari Bandzeladze – “Mountain Tourism Problems and Development Prospects in Georgia” – Journal Ganatleba – Quarterly peer-reviewed and refereed journal of the Georgian Technical University 1(32)2021.

**2. Legislative acts and regulations of the Georgian Parliament:** “Georgian tourism development strategy 2025”. <https://gnta.ge/ge/publication/>

**3. Article from electronic collection**

Steffen Schülein - „Green Tourism in Georgia“ - 2018;

<https://psd-tvet.de/wp/wp-content/uploads/Green-Tourism-in-Georgia.pdf>

**4. Article from electronic collection**

Leonard J. Lickorish; Carson L. Jenkins - „An Introduction to Tourism“- University of Strathclyde, Glasgow, UK;

<https://www.economy.gov.ae/Publications/An%20Introduction%20to%20Tourism%200750619562.pdf>

**5. Article from electronic collection**

Naciye Güliz Uğur and Adem Akbıyık – Impacts of COVID-19 on global tourism industry: A cross-regional comparison – Management Information Systems Department, Sakaria University, Sakaria, Turkey

<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7474895/>

**6. Article from electronic collection**

UNWTO and COVID-19

<https://www.unwto.org/international-tourism-and-covid-19>



## ტურისტული კომპანიების საკადრო მენეჯმენტი პანდემიის პირობებში

ოთარ ჯაფარიძე

დოქტორანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

### ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს გამოწვევას წარმოადგენს covid-19 და პანდემიით გამოწვეული კრიზისები სხვადასხვა მიმართულებით. ტურიზმი, პანდემიის ნეგატიური გავლენით დაზარალებულ სფეროთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, რადგან პანდემია პირველ რიგში მსოფლიოსა თუ რეგიონში თავისუფალ გადაადგილებას ზღუდავს და ამით სერიოზულ საფრთხეს უქმნის ტურისტული ბიზნესის არსებობა-განვითარებას.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში - ტურისტული ბიზნესი, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და ტურისტული მიმოსვლების შეჩერების გამო - ფაქტიურად უფუნქციოდ და ამდენად, უშემოსავლოდ დარჩა. ამან კი თავის მხრივ სფეროში დასაქმებული ადამიანების ფინანსური კრიზისი და პანდემიის ფონზე, მეტად ცოცხალ სფეროებში მათი გადინება გამოიწვია.

პროფესიონალი კადრების ტურისტული სფეროდან მიგრაცია ერთ-ერთ სერიოზულ

გამოწვევას წარმოადგენს აღნიშნული ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის და პოსტ-პანდემიურ პირობებში სფეროს რეაბილიტაციისათვის, რადგან როგორც ვიცით - ტურისტული ბიზნესის წარმატებულობა, მასში დასაქმებული მომსახურე კადრების - განსაკუთრებით კი გიდებისა და ტურმენეჯერების პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რომელიც გარდა თეორიული ცოდნისა, სფეროში მრავალწლიანი გამოცდილებით მიიღწევა.

ამდენად, წინამდებარე კვლევა სწორედ იმ ღონისძიებების იდენტიფიცირებას შეეხება, რომელიც ტურისტულ ბიზნესში ჩართულმა მხარეებმა განახორციელეს ფორს-მაჟორულ სიტუაციაში კადრების და საკუთარი ბიზნესის შესანარჩუნებლად. ასევე იმ ფაქტორებს უსვამს ხაზს, რომელთა აუცილებლობაზეც საუბრობენ ტურისტული სფეროს სწრაფი რეაბილიტაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

*საკვანძო სიტყვები: ტურისტული ბიზნესი, HR და ტურიზმი*

## **ტურისტული კომპანიების საკადრო მენეჯმენტი პანდემიის პირობებში**

**ოთარ ჯაფარიძე**

დოქტორანტი

*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

### **შესავალი**

მოგზაურობის პროცესის სასიამოვნოობის და სასურველობის მიუხედავად, უცხო გარემოში გადაადგილება შეიცავს სხვადასხვა ტიპის საფრთხეებს - მითუფრო, როდესაც საქმე ეხება ისეთ გლობალურ პრობლემას როგორიცაა პანდემია - რომლის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ღია საზღვრები და მსოფლიოს მასშტაბით შეუზღუდავი მოგზაურობები - იგივე ტურიზმია.

2019 წლის ბოლოს, COVID-19-ის ვირუსმა მსოფლიო უსწრაფესად მოიცვა სწორედ ღია მიმოსვლის მეშვეობით. ეს იმდენად სწრაფად მოხდა, რომ მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა რეაგირებაც ვერ მოასწრეს და ამ უკანასკნელმა ფაქტიურად გააჩერა

მთელი მსოფლიო. <sup>74</sup>

COVID-19-ის გავლენით ტურიზმის სექტორი უდიდესი დარტყმის წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს (WTTC) შეფასებით, ეპიდემიის ეკონომიკური შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა არაერთი ქვეყნისთვის, რამაც მშპ-ს მკვეთრი დაცემა გამოიწვია - ამ ვარდნაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ტურიზმის გაჩერებიდან მოდის.<sup>75</sup>

საქართველო მჭიდროდაა გადაბმული საერთაშორისო მოვლენებთან და პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებიც მაქსიმალურად შეეხო საქართველოს ტურიზმის სფეროს: დაცარიელდა და ფაქტიურად დაიკეტა უამრავი სასტუმრო, შემოსავლის გარეშე დარჩა უამრავი ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანი. პანდემია აისახა ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობებზე - სახელმწიფო რეგულაციებიდან გამომდინარე, შეზღუდვებმა მოიცვა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურეობა, შიდა ტურიზმი, სავაჭრო დაწესებულებები და ბაზრობები, გაუქმდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

შედეგად, შემოსავლების და ფუნქციის გარეშე დარჩენილმა კომპანიებმა ვეღარ შეძლეს მათთან დასაქმებული მომსახურე პერსონალის ფინანსური უზრუნველყოფა და ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებაც. თავის მხრივ კი - იძულებით შემოსავლებდაკარგულ პროფესიონალებს მოუწიათ ტურიზმის და მომსახურების ინდუსტრიიდან მიგრირება სხვა, მეტად ცოცხალ და მოცემული მომენტისთვის შემოსავლიან სფეროებში.<sup>76</sup>

წინამდებარე თემის აქტუალობა, სწორედ იმ გარემოებამ განაპირობა, რომ, ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული პროფესიონალების შენარჩუნება და სფეროში დარჩენაზე მათი სხვადასხვა ფორმით მოტივირება - მეტად აქტუალურ პრობლემას/საკითხს წარმოადგენს.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული ემპირიული კვლევა კი სწორედ აღნიშნული

---

<sup>74</sup>ოთარ ჯაფარიძე, მ. ბ. (2021). მთის ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. *ჟურნალი განათლება. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტლური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი*, 32.

<sup>75</sup> *INTERNATIONAL TOURISM AND COVID-19*. (2021, 8 7). Retrieved from [www.unwto.org](https://www.unwto.org/): <https://www.unwto.org/>

<sup>76</sup>ნასიე გულიზ უგური, ა. ა. (2021). Impacts of COVID-19 on global tourism industry: A cross-regional comparison. *მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების განყოფილება, საქარია უნივერსიტეტი. საქარია, თურქეთი*.

პრობლემის შესაძლო მოგვარების გზების ძიებას და რეკომენდაციების შემუშვებას ემსახურება, რათა პოსტ-პანდემიურ პერიოდში ხელოვნურად არ მოხდეს ტურისტული ინდუსტრიის დაპაუზება - სათანადო კადრების არარსებობის მიზეზით.

#### **ძირითადი ცნებების განმარტებები**

**შიდა ტურიზმი** - საქართველოს მოქალაქეებისადმი გაწეული ტურისტული მომსახურება ქვეყნის შიგნით.

**საქართველოს ტურისტული იმიჯი** - საქართველოს, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი, მოგზაურობის მიმზიდველობის გარეგნული სახე.

**გიდი** - „Guide“ ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და გზის მაჩვენებელს ნიშნავს. იგი არის ტურისტების გამყოლი, რომელიც აცნობს მათ ქალაქებისა თუ ქვეყნების ღირსესანიშნაობებს, ან მთის პირობებში უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას.

**ტურმენეჯერი** - პირი პასუხისმგებელი ტურისტული პროდუქტის შექმნაზე, გაყიდვასა და მართვაზე

**საკადრო მენეჯმენტი** - ადმინისტრაციული რესურსების მართვის პროცესი.

#### **ძირითადი ნაწილი**

#### **b. საკვლევი პრობლემა**

საკვლევ პრობლემას წარმოადგენდა, როგორც პანდემიურ, ასევე პოსტ-პანდემიურ პერიოდში, ტურიზმის სექტორიდან პროფესიონალი კადრების პოტენციური გადინების საკითხი.

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც პანდემიით გამოწვეული ტურიზმის დაპაუზების პირობებში, სექტორში მანამდე დასაქმებული - ხოლო პანდემიის პერიოდში შემოსავლების გარეშე დარჩენილი პროფესიონალი კადრების გადინება სხვა, უფრო „ცოცხალ“ სფეროებში - რეალურად დადგა დღის წესრიგში.

კადრების გადინებით გამოწვეული პრობლემა, აუცილებლად იჩენს თავს პოსტ-პანდემიურ პერიოდში და შეამცირებს ფინანსურად სასურველი, მაღალი გადახდის უნარიანობით გამორჩეულ ტურისტულ ნაკადებს - ისევე როგორც ზიანს მიაყენებს ქვეყნის ტურისტულ იმიჯს.

ამდენად, კვლევის წინაშე დასმული პრობლემა, რელევანტურია, მისი პირველ რიგში მკაფიოდ იდენტიფიცირების და შემდგომ უკვე მისი შესაძლო მოგვარების/პრევენციის გზების ძიების აუცილებლობის თვალსაზრისით.

#### **c. კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანს წარმოადგენს, თუ რა გზებს იყენებენ, წარმატებული ტურისტული

კომპანიები პროფესიონალი კადრების შენარჩუნებისთვის და მათი სწორი მოტივირებისთვის, პანდემიის პირობებში. ასევე, რა გამოსავალს ხედავენ ისინი პროფესიონალი კადრების შესანარჩუნებლად და ტურიზმის სფეროში მათ დასატოვებლად - იმისთვის, რომ პოსტ-პანდემიურ პერიოდში არ მოუწიოთ მომსახურების სტანდარტების დაწევა არასაკმარისი საკადრო რესურსის გამო.

#### **d. კვლევის ჰიპოთეზები**

2. პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე, სფეროში დასაქმებულთა და უშემოსავლოდ დარჩენილმა პროფესიონალებმა დაიწყეს სექტორიდან გადინება და სხვა, მეტად ცოცხალ სფეროებში სამსახურების ძიება - ეს შესაბამისად, გამოიწვევს ტურიზმის სფეროში დასაქმებული პროფესიონალების დეფიციტს და კიდევ უფრო გაამწვავებს მომსახურების ხარისხის პრობლემას პოსტ-პანდემიურ პერიოდში;
3. ტურისტულმა კომპანიებმა პროფესიონალი კადრების (გიდები, ტურმენეჯერები) შენარჩუნების მიზნით, დაიწყეს წინასწარ დაგეგმილი ტურების იგივე ფასებით შემდგომი წლებისთვის გადაგეგმვა - ისე, რომ კლიენტებს პრობლემები არ შექმნოდათ. ამით შეძლებდნენ თავიანთი კადრების შენარჩუნებას - პოსტ-პანდემიურ პერიოდში სფეროში მარტივი ინტეგრაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით;
4. ტურისტულმა კომპანიებმა, კადრების და ამასთან საკუთარი ბიზნესის შესანარჩუნებლად, საქმიანობის სფეროები მომართეს შიდა ტურიზმი - სადაც ხაზს უსვამდნენ ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე დასვენების შესაძლებლობებს, ნაკლები კონტაქტებით და სან-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით;

### **III. კვლევის მეთოდები და სამიზნე ჯგუფები**

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, რადგან არ გვქონდა მონაცემთა განზოგადების და პროცენტული ჩანაწილების ჩვენების საჭიროება, ასევე კვლევის სამიზნე სეგმენტის როგორც შინაარსობრივი, ასევე რაოდენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ტურ-მენეჯერები, ადგილობრივი გიდები და ტურისტული კომპანიები) - პირველადი ინფორმაციის მოსაპოვებლად განისაზღვრა **თვისებრივი კვლევის მეთოდი** - კერძოდ, **სიღრმისეული ინტერვიუ**.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამიზნე სეგმენტებს წარმოადგენდნენ ტურისტული კომპანიები, ტურმენეჯერები და ადგილობრივი გიდები - ის მხარეები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ საკვლევ საკითხებში გამოტანილი სიტუაცია და რომელთაც

მნიშვნელოვანი როლი ქონდათ მოცემული პრობლემის აღმოფხვრა-პრევენციაში

შესაბამისად, კვლევის პროცესში, ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატით გამოიკითხა ადგილობრივი 5 მსხვილი ტურისტული კომპანიის აღმასრულებელი მენეჯერი ან/და HR მენეჯერი (საკადრო პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირი), ადგილობრივი მოქმედი გიდების 8, ხოლო ტურმენეჯერების - 7 წარმომადგენელი - რომელთაც უშუალოდ შეეხოთ პანდემიური კრიზისით გამოწვეული და ჩემს მიერ აღწერილი პრობლემა.

#### IV. კვლევის ანალიტიკური ანგარიში

*კვლევის პირველ ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რა გზებს მიმართეს ტურისტულმა კომპანიებმა ტურისტული მიმოსვლების შეჩერების შემდეგ, რათა გადაერჩინათ საკუთარი ბიზნესი და შეენარჩუნებინათ მათთან დასაქმებული პროფესიონალი კადრები (როგორია ამ პრობლემასთან გამკლავების საუკეთესო პრაქტიკები)*

პანდემიის მიზეზით საზღვრების ჩაკეტვამ, სერიოზული დარტყმა მიაყენა ტურისტულ ინდუსტრიას - განსაკუთრებით კი ტურისტულ სააგენტოებს, რადგან ამ სტრუქტურების ერთადერთი და მთავარი შემოსავლის წყარო სწორედ ტურისტებისგან მიღებული შემოსავალი გახლდათ.

სწორედ ამიტომ, ტურისტული კომპანიებისთვის ყველაზე მთავარ და თითქმის მოუგვარებელ პრობლემად იქცა შემოსავლების მოსპობა, რამაც თავის მხრივ არაერთი თანმხლები პრობლემა გამოიწვია, რომელთა შორისაც პირველ ადგილზე იდგა იმ ადამიანური რესურსების შენარჩუნების საკითხი, რომლებიც ამ სექტორში იყვნენ დასაქმებული.

ტურისტული მიმოსვლების შეჩერებამ უშემოსავლოდ დატოვა ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენლები - ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ ადგილობრივი გიდები და ტურ-მენეჯერები, რომელთა პროფესიონალური საქმიანობა პირდაპირ კავშირში იყო ტურისტებისგან მიღებულ შემოსავალთან.

ტურისტული კომპანიები, დადგნენ არამარტო პროფესიონალი თანამშრომლების დაკარგვის, არამედ თვით ამ ბიზნესიდან გაქრობის საფრთხის წინაშე - რადგან თითქმის ყველა მათგანს ქონდა საბანკო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულება, რომელთა შესრულებაც უსახსროდ დარჩენის შემდეგ შეუძლებელი გახდა.

ვისაც ქონდა რაიმე დამატებითი რესურსი (ძირითადად მსხვილ მოთამაშეებს ბაზარზე), მათ შეძლეს რამოდენიმე თვით თანამშროლების ხელფასების გადახდა საკუთარი რეზერვების ხარჯზე, თუმცა პანდემიით გამოწვეული ჩაკეტვების ხანგრძლივობა იმაზე დიდი გამოდგა, ვიდრე თავდაპირველად მხარეები ვარაუდობდნენ - რამაც საბოლოოდ, იძულებითი წესით უფუნქციოდ დარჩენილი პერსონალის განთავისუფლების აუცილებლობა გამოიწვია და ისინი იძულებული გახდნენ სამსახური ეძებნათ მეტად ცოცხალ სფეროებში.

ამას ემატებოდა ის პრობლემაც, რომ ტურისტულ კომპანიებს - ისევე როგორც დამოუკიდებელ გიდებს, წინასწარ ქონდათ ტურების დიდი ნაწილი გაყიდული და ტურებიც დაგეგმილი - შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა უკვე არსებულ კლიენტებთან აღებული ფინანსური ვალდებულებების დაბრუნების საკითხი - რაც არ იყო ადვილი, რადგან წინასწარ გაყიდული ტურებიდან მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი უკვე გაწეული იყო ტურების მომზადებასა და წინასწარ დანახარჯებში. პარტნიორების (ტურისტების) დაზარალება კი თავის მხრივ აზარალებდა საქართველოს ტურისტული კომპანიების იმიჯს და სამომავლოდ ბიზნესში დარჩენის საფრთხეს ქმნიდა.

ამასთან, დღის წესრიგში იდგა როგორც ბიზნესის გადარჩენის, ასევე პროფესიონალი კადრების რაიმე სახის კომპენსირების საკითხი, რაც მათ სფეროში დარჩენას, ან/და პოსტ-პანდემიურ პერიოდში სფეროში დაბრუნების იმედს გააჩენდა.

ამიტომ, ტურისტულმა კომპანიებმა სასწრაფო წესით დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეენარჩუნებინათ მეტნაკლები სტაბილურობა - შეენარჩუნებინათ იმიჯი პარტნიორებთან, თანამშრომლობა პროფესიონალ გიდებთან და ტურმენეჯერებთან, ასევე შეექმნათ თუნდაც მცირედი, მაგრამ სტაბილური შემოსავალი, რომელიც მათ პანდემიით გამოწვეული ტურისტული ნაკადების ჩაკეტვით გამოწვეულ კრიზისს ასეთუისე გადაატანინებდა.

ტურისტული კომპანიების მიერ მოძებნილი გამოსავალი და უახლოესი მომავლის გეგმები იყო შემდეგი:

- პირველ რიგში დაიწყეს უკვე არსებული და გაყიდული ტურების გადაყიდვა - ანუ გადატანა შემდეგი (უსაფრთხო) წლისთვის - იგივე ან უფრო დაბალი ფასით და მაღალი სერვისით - რათა არ ყოფილიყო საჭირო უკვე მიღებული ფულის უკან დაბრუნება;

- შემდეგ უკვე შემოიღეს ე.წ. „ტურის ვაუჩერები“ (რომლის გამოცდილებაც როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა უცხოური ტურისტული კომპანიების მაგალითიდან აიღეს) - ვაუჩერის რამოდენიმე წლით წინასწარ შეძენის შემთხვევაში, სთავაზობდნენ ძალიან შეღავათიან ფასს და არაერთ დამატებით სერვისს, რომელშიც ჩვეულებრივ შემთხვევაში ტურისტებს ფული უნდა გადაეხადათ. ამ სქემაში ჩართული იყო ტურიზმის ინდუსტრიის თითქმის ყველა სექტორი: სარესტორნო ბიზნესი, სასტუმრო ქსელები, ცალკეული ტურისტული ინფრასტრუქტურების მფლობელები, გიდები თუ ადგილობრივი მცირე და ინდივიდუალური მეწარმეები - რომელთაც ასევე ძალიან აწყობდათ თავიანთი მომსახურებების წინსწრებით, თუმცა შეღავათიან ფასში გაყიდვა და ამით გარკვეული ფინანსური შეღავათის თუ სამომავლო დაპირების მიღება; ეს ღონისძიება ერთის მხრივ თავად კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მცირედ მაინც გამყარებას და მეორეს მხრივ - გიდების, ტურმენეჯერების და სხვა ტურთან დაკავშირებული პროფესიონალი კადრების შენარჩუნების, ან/და პოსტ-კოვიდურ ვითარებაში, სფეროში დაბრუნებას ისახავდა მიზნად.
- და ბოლოს - ტურისტულმა კომპანიებმა თავიანთი საქმიანობა მომართეს შიდა ტურებზე და გააკეთეს სამოგზაურო პაკეტები საქართველოს მოქალაქეებისათვის - დაბალი, საშუალო და მაღალი საფასო სეგმენტებისთვის - რომ პანდემიის ჩაკეტვებით დაღლილ და საზღვრებ-ჩაკეტილ მოსახლეობას ქვეყნის მასშტაბით მაინც შეძლებოდათ მოგზაურობა - მათთვის შესაძლებელი ბიუჯეტის ფარგლებში. ეს პროექტი ბუნებრივია ისეთივე მაღალშემოსავლიანი არ იყო, როგორც გარე ტურისტებზე გაყიდული სამოგზაურო პაკეტები, მაგრამ სრულიად უშემოსავლოდ და უფუნქციოდ დარჩენილ ტურისტულ კომპანიებს და ტურის მომსახურებაში ჩართულ ცალკეულ სტრუქტურებს თუ ადამიანებს, საკმაო შეღავათს უწევდა.

*კვლევის მეორე ამოცანას წარმოადგენდა იმის დადგენა - დღეს, როცა უკვე დაიწყო ტურისტული მიმოსვლების აღდგენა - დგას თუ არა ტურიზმის სექტორი პროფესიონალი კადრების ტურიზმის სფეროდან გადინებით გამოწვეული საფრთხის წინაშე და ხედავენ თუ არა ამაში პრობლემას;*

პოსტ-პანდემიურ პერიოდში, ტურისტული სეზონების აღდგენასთან დაკავშირებით, ტურისტული კომპანიები თვლიან, რომ ტურისტული ნაკადების კლებასთან ერთად გაიზრდება კონკურენცია, რაც საბოლოო ჯამში აუცილებლად იმოქმედებს ხარისხის



გაზრდაზე - თუმცა ამისთვის საჭირო გახდება მთელი რიგი ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამების ჩატარება რათა მაქსიმალურად დაიხვეწოს სერვისი - ამაში, კი ბუნებრივია სახელმწიფოს დახმარება და ფინანსური სუბსიდირებაც საჭიროდ და მნიშვნელოვანად მიაჩნიათ.

საგულისხმოა გიდების და ტურ-მენეჯერების მოსაზრებაც, რომელთა ნაწილი შიშით უყურებს პანდემიური ფონის გასვლას და არაერთგვაროვანი მოლოდინები აქვთ პოსტპანდემიურ სიტუაციასთან მიმართებით, კერძოდ: მათი ნაწილი თვლის, რომ პანდემიის შემდგომ ტურისტული ნაკადების წამოსვლასთან ერთად სახეზე გვექნება გიდების არასაკმარისი რაოდენობა, რადგანაც როგორც ზემოთ ავლნიშნეთ უმეტესი გიდი უკვე დასაქმებული იქნება სხვა სფეროში, სექტორი ჯეროვან მომსახურებას ვერ გაუწევს ტურისტულ ბაზარზე არსებულ მოთხოვნას, ეს კი გამოიწვევს მომსახურების ხარისხის დავარდნას - რაც საბოლოო ჯამში ტურისტების უკმაყოფილებამდე მიგვიყვანს. ანუ გიდების ეს ნაწილი თვლის, რომ ტურისტულ სექტორს თავიდან მოუწევს იმიჯის შექმნა და ნდობის მოპოვება, რაც ბუნებრივია სექტორის განვითარებას უკან დასწევს.

თუმცა არსებობს მეორე, სრულიად განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პანდემიის შემდგომ შემცირებული ტურისტული ნაკადები გამოიწვევს გიდებს შორის დიდ კონკურენციას და ამდენად მომსახურების ხარისხის არა დაცემას, არამედ პირიქით - ზრდას, ხარისხის გაზრდა კი თავის მხრივ სფეროს იმიჯის აღდგენას და განვითარებას გამოიწვევს.

დღეის მდგომარეობით, იმის მიუხედავად რომ ტურიზმი ჯერ კიდევ არ დაბრუნებია თავის ჩვეულ რიტმს და მისი ბრუნვები საგრძნობლად ნაკლებია პანდემიამდელ ფონთან მიმართებით, ტურისტული კომპანიები უკვე დგანან მაღალკვალიფიციური გიდების და ტურმენეჯერების ნაკლებობის წინაშე, რადგან როგორც მოსალოდნელი იყო - მათმა ნაწილმა სხვა სფეროში გადაინაცვლა, ხოლო ის ვინც დარჩა ბიზნესში - ან კვალიფიკაციის ნაკლებობას უჩივის (რაც ისედაც პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა), ან მასზე სერიოზული მოთხოვნაა და ასეთი პროფესიონალი გიდის ფასი მათთვის ხელმიუწვდომელია - მითუმეტეს, რომ პოსტ-პანდემიური ტურიზმი დაბალი ფასის მოლოდინზეა გათვლილი ტურისტების მხრიდან და მათ არ აქვთ მზაობა თუნდაც პროფესიონალ გიდში სოლიდური თანხა გადაიხადონ.

აქვე უნდა აღინიშნოს ე.წ. „ტურის ვაუჩერების“ წინასწარი გაყიდვების ეფექტურობა, რადგან ასეთი წინასწარ დაგეგმილი ტურები ბუნებრივია ფასის ცვლილებას აღარ

ექვემდებარება და ტურისტული კომპანიები რამოდენიმე წლით ადრე შეთანხმებულ პროფესიონალ გიდზე რათქმაუნდა მარტივად და შეღავათიან ფასად გადიან - მითუფრო, რომ პანდემიური კრიზისის დროს მათი გიდთან წინასწარი შეთანხმება, იმედის და მომავლის პერსპექტივის საწინდარი იყო.

***კვლევის მესამე ამოცანის მიხედვით კი, უნდა დაგვედგინა, თუ რაში ხედავენ გამოსავალს ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები, რათა არ მოხდეს სფეროდან პროფესიონალი კადრების გადინება და ამან არ გამოიწვიოს მომსახურების ხარისხის დაწვეა პოსტ-პანდემიურ პერიოდში;***

ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტურისტული კომპანიები, ისევე როგორც ცალკეული გიდები და ტურმენეჯერები, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სექტორის ბოლომდე ამუშავების და მასში პროფესიონალი კადრების დარჩენის საქმეში. სახელმწიფომ უნდა აწარმოოს სწორი პოლიტიკა როგორც მარკეტინგული მიმართულებით, ასევე ტურიზმის ბიზნესში ჩართული მხარეების მიმართ რეგულაციების მიმართულებით. აღნიშნული განსაკუთრებით რთულია იქედან გამომდინარე, რომ ეს რეგულაციები თან უნდა უზრუნველყოფდნენ ადამიანების უსაფრთხოებას და თან უზრუნველყოფდნენ ბიზნესების შეუფერხებელ მუშაობას, რაც დღეის მდგომარეობით არსებული რეგულაციების პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია.

როდესაც სექტორს აქვს რამდენიმე მილიარდიანი ზარალი, ძნელია სწრაფად დაბრუნდეს განვითარების ძველ ნიშნულზე - აქედან გამომდინარე, სექტორის გადასარჩენად ხაზი გაესვა საგადასახადო შეღავათების დაწესების აუცილებლობას. ასევე ისაუბრეს საგრანტო პროგრამების ინიცირების აუცილებლობაზე და უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობაზე.

განვითარების გეგმაზე საუბრისას, ასევე ეხებიან მარკეტინგული საქმიანობის აქტიურად წარმოების აუცილებლობას და სამიზნე ბაზრების მკაფიოდ შერჩევის საჭიროებას - მათ მიაჩნიათ, რომ პოსტ-პანდემიურ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრემიუმ (მაღალგადახდისუნარიან) სეგმენტზე გასვლა და ამით ტურისტული ნაკადების შემცირებული მოცულობის კომპენსირება.

ამისთვის, კი მათი აზრით მნიშვნელოვანია კადრების სერტიფიცირება-გადამზადება. მითუმეტეს, რომ პროფესიონალი კადრების გადინების საფრთხეები აქტუალურია. თუ არ მოხდა პროფესიონალი კადრებით ტურიზმის სფეროს შევსება, ეს იმოქმედებს მომსახურების ხარისხზე, რაც თავის მხრივ გაართულებს ტურიზმის სფეროს

განვითარების პროცესს პოსტ-კოვიდურ სიტუაციაში.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვისაუბროთ კვლევის ჰიპოთეზების შემოწმებაზე და ვთქვათ, რომ:

პირველი ვარაუდი - **სრულად დადასტურდა**, რადგან ტურისტული საგენტოები ისედაც აღნიშნავდნენ ადგილობრივი პროფესიონალი გიდების ნაკლებობას ტურიზმის ინდუსტრიაში, რაც კიდევ უფრო გაამწვავა პანდემიის დროს ტურისტული ნაკადების შეჩერების გამო მათმა უსამსახუროდ და ამდენად უშემოსავლოდ დარჩენამ - რომელმაც თავის მხრივ მათი გადინება გამოიწვია ტურიზმის ბიზნესიდან სხვა სფეროებში. დღესდღეობით, სფეროდან გადანაცვლებული გიდების დიდი ნაწილი ბოლომდე თავს იკავებს უკვე ნაშოვნი სხვა სამსახურების დატოვებაზე, რადგან არ აქვს ტურიზმში სტაბილურობის იმედი და ისევ უშემოსავლოდ დარჩენის ეშინია - ეს კი ბუნებრივია იწვევს პროფესიონალების დეფიციტს და შესაბამისად, ტურისტთა მომსახურების ხარისხის ვარდნის პერსპექტივას. თუმცა აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროფესიონალი გიდები არ არიან წინააღმდეგი სფეროში დაბრუნების, თუმცა ამისთვის მეტად ხელსაყრელ და ნაკლებად სარისკო პერიოდის დაბრუნებას ელოდებიან.

მეორე ვარაუდი - **არ დადასტურდა**, რადგან ტურების გადაგეგმვამ შემდგომ წლებზე იგივე ფასით - თანამშრომლების შესანარჩუნებლად საკმარისი რესურსის მოძიება ვერ მოახერხა. თუმცა ტურისტული კომპანიების მიერ გატარებულმა აღნიშნულმა ღონისძიებამ, ნამდვილად იმოქმედა მათი როგორც კომპანიის იმიჯის შენარჩუნებაზე და მათ ბაზარზე დარჩენაზე.

სამაგიეროდ გამართლდა მესამე ვარაუდი - რადგან ტურისტულმა კომპანიებმა, კადრების და ამასთან საკუთარი ბიზნესის შესანარჩუნებლად, საქმიანობის სფეროები ნამდვილად მომართეს საქართველოს შიდა ტურებზე - სადაც ხაზს უსვამდნენ ბუნების წიაღში, სუფთა ჰაერზე დასვენების შესაძლებლობებს ნაკლები კონტაქტებით და სან-ჰიგიენური ნორმებს სრული დაცვით. მართალია, აღნიშნული პროექტის ნაკლებშემოსავლიანობის გამო, მან ვერ უზრუნველყო პროფესიონალი კადრების სრულად შენარჩუნება და ვერ აღკვეთა მათი სფეროდან გადინება - თუმცა საკმაო შეღავათი მისცა სფეროში დასაქმებულ გიდებს.

## რეკომენდაციები

ტურიზმის სფეროს განვითარებაში ჩართული მხარეების მხრიდან უნდა მოხდეს, ბიზნესის ამ მიმართულების მხარდაჭერა და იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით ტურისტების შეუფერხებელ მიმოსვლას და მათ მომსახურებას - რათა სექტორმა არ დაკარგოს პროფესიონალი კადრები და ამით არ გაღრმავდეს ისედაც დაპაუზებული ინდუსტრიის კიდევ მეტად დაზარალება.

ამისთვის კი საჭიროა რომ:

- დღის წესრიგში დადგეს ტურისტულ ბიზნესში ჩართული მხარეების - განსაკუთრებით სერვისის მიმწოდებელი სტრუქტურების წარმომადგენლების მაღალ კვალიფიციურ დონეზე მომზადება-გადამზადების საკითხი - როგორც ცენტრალიზებულად, ასევე ადგილობრივ რეგიონულ ბაზარზე მოღვაწე მომსახურე პერსონალისთვის და გიდებისთვის, რათა მათი კვალიფიკაცია იყოს მაღალი.
- აუცილებელია ქვეყნის სწორი პოზიციონირების და მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ტურისტული პროფილები და ამის მიხედვით მათი კონკრეტული ინტერესები - შეთავაზებების სახით - რაც თავის მხრივ გამოიწვევს ახალი, ჩვენთვის მეტად სასურველი ტურისტული სეგმენტების მოზიდვას და ამავდროულად ქვეყნის უკვე არსებული იმიჯის დაცვა-შენარჩუნებას;
- აუცილებელია, რომ ტურისტები დარწმუნებული იყვნენ მათი ჯანმრთელობისა და გეგმების უსაფრთხოებაში - ეს კი, სამომავლოდ მოგზაურობის დაზღვევამ და საფასურის სხვაობის გადახდის გარეშე თარიღის და მიმართულების შეცვლის შესაძლებლობამ უნდა გახადოს შესაძლებელი. აღნიშნული რეფორმა ხელს შეუწყობს, ტურისტებმა უფრო თამამად დაგეგმონ თავისი მოგზაურობა, რაც საბოლოო ჯამში ტურისტების მობილობას და მათი ნაკადების უწყვეტობას უზრუნველყოფს.
- ასევე სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ნაბიჯები სექტორის გადასარჩენად, რაც გამოიხატება საგადასახადო შეღავათებში ტურიზმის სექტორის ყველა მონათესავე ბიზნესისთვის;

რაც უადრესად მნიშვნელოვანია, გამოკვეთილ პრობლემათა მოგვარება და რეკომენდაციათა გათვალისწინება, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას სახელმწიფოს,

კერძო ბიზნესების, ადგილობრივი ტურისტული სააგენტოების, გიდების, მოსახლეობის და ტურისტების მხრიდან - ერთის მხრივ უნდა იყოს ხელისუფლების საკანონმდებლო და ფინანსური მზაობა ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო პრობლემების მოგვარების საქმეში და მეორეს მხრივ, სფეროთი დაინტერესებული დანარჩენი მხარეების მზაობა - მიიღონ და განახორციელონ ის საჭირო ცვლილებები თუ ინიციატივები, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის ხელახალ აღორძინებას საქართველოში.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ოთარ ჯაფარიძე, მ. ბ. (2021). მთის ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. *ჟურნალი განათლება. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტლური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი*, 32.
- საქართველოს პარლამენტი. (2015). *საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025*. მოპოვებული [www.gnta.ge](http://www.gnta.ge): <https://gnta.ge/ge/publication/>-დან
- Schüle, S. (2018). *Green Tourism in Georgia*. Retrieved from [gnta.ge: https://gnta.ge/publication/green-tourism-in-georgia/](http://gnta.ge/publication/green-tourism-in-georgia/)
- Lickorish, L. J., & Jenkins, C. L. (n.d.). *An Introduction to Tourism* - University of Strathclyde. Glasgow, UK.
- ნასიე გულიზ უგური, ა. ა. (2021). Impacts of COVID-19 on global tourism industry: A cross-regional comparison. *მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების განყოფილება, საქარიას უნივერსიტეტი. საქარია, თურქეთი*.
- INTERNATIONAL TOURISM AND COVID-19*. (2021, 8 7). Retrieved from [www.unwto.org](http://www.unwto.org): <https://www.unwto.org/>

